ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ადვოკატი თოდუა: „მე ვიცი, რამ გააღვივა კონფლიქტი ხორავას ქუჩაზე“

გვ.5

3 დეკემბრიდან

**რჩეული საბავშვო მოთხრობები**

წიგნი I-II

ფასი

გაზეთთან

ერთად

24 ლარი




ოთხშაბათი, 4 დეკემბერი, 2019 №287 (8241) ფასი: 60 თეთრი

# თაკო ჩარკვიანმა ნინო ბურჯანაძის გამო გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატი დატოვა

გვ.2

## ზალვა შავგულიძე: „სამოქალაქო დაპირისპირებას „ოცნება“ ალვივებს“

გვ.3

„ოპოზიცია ხელისუფლების საქმეს აკეთებს“

## გიორგი ვაშაძე: „თუკი დამარტყამენ, პასუხს არ გავცემ, დამარტყან!“

გვ.3

„ქართულმა ოცნებამ“ ასლან აბაშიძისა და შევარდნაძის გზა აირჩია“

გვ.4

## შოთა მალაშხია: „ეს „ქართული ოცნების“ კრიზისის ბოლო ეტაპია“

გვ.3

## თეონა აქუბარდია: „ივანიშვილს ხალხმრავალი აქციების ეშინია“

„არა მგონია, ივანიშვილს ეყოს გამბედაობა, ქართველებს შორის დაპირისპირება არ დაუშვას“

## ამირან სალუქვაძე: „ოპოზიციის მხრიდან აბსურდული მოდელია შემოთავაზებული“

გვ.5

გვ.4

## გომელაურმა და გახარიამ საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ახალი შენობა გახსნეს

ISSN 1987-9385

**2** არჩილ თალაკვაძე: „ჩვენ მზად ვართ საარჩევნო კანონმდებლობაზე სალაპარაკოდ ოპოზიციასთან“

**4** კარდენახში 34 წლის ქალის ცხედარი სახლის ეზოში იპოვეს

**5** ნიკა გვარამიას, კახა დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე დღეს წინასასამართლო სხდომა გაიმართება

**6** ტრამპი: „კიმ ჩენ ინს „კაცი რაკეტა“ შევარქვი“

# თაკო ჩარკვიანმა ნინო ბურჯანაძის გამო გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატი დატოვა

პოლიტიკური მოძრაობის „კანონი და სამართალი“ თავმჯდომარე თაკო ჩარკვიანი გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატში მონაწილეობაზე უარს აცხადებს.

ამასთან დაკავშირებით გუშინ, 3 დეკემბერს, მან და პარტიის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ღლონტმა განცხადება სოციალურ ქსელში გაავრცელეს და გადაწყვეტილების მიზეზად ნინო ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტი დაასახელეს.

„ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის პრორუსული ვექტორის ძალებთან ნებისმიერ ფორმატში ურთიერთობა, გარკვეულწილად, ურთულესი თვითდისციპლინისა და ამავე დროს მორალური დისკომფორტის საკითხს წარმოადგენდა. შერჩეულ ფორმატს დავთანხმდით მხოლოდ იმის გამო, რომ გვქონდა საერთო მიზანი, რასაც პროპორციული არჩევნების დანერგვა და რიგგარეშე არჩევნების მოპოვება ჰქვია.

ამ საკითხში ვთანხმდებით, რომ ყველას, მათ შორის ჩვენთვის მიუღებელ პოლიტიკურ სუბიექტებს, უნდა ჰქონდეთ სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ნებისმიერი სხვა ფორმატი, სადაც რაიმე სახით პრორუსულ ძალებთან გაერთიანება იქნებოდა დასაშვები, ჩვენთვის მიუღებელი იყო და არის.

ვიაზრებთ რა ოპოზიციის ბრძოლის აუცილებლობასა და კეთილშობილ მიზანს, „პროპორციულ არჩევნებს“, რომლის მიღწევაც ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის და მისი დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ვრჩებით აქტიური პროტესტის რიგითი მონაწილეები, ჩვენ ვართ და ვიქნებით ამ ქვეყნის რიგითი ჯარისკაცები, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნების ასევე ივანიშვილის პოლიტიკურ რეჟიმთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ უარს ვაცხადებთ ოპოზიციის იმ ფორმატში მონაწილეობაზე, რომელშიც ნინო ბურჯანაძე და რუსული ვექტორის წარმომადგენელი პოლიტიკური სუბიექტები იქნებიან.

ამავე დროს, განვმეორდები და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ვრჩებით ქუჩის აქციის და ყველა სხვა პროტესტის მონაწილეები, რათა თანადგომა გამოვუცხადოთ ჩვენს მოსახლეობას და ამომრჩეველს, არ გამოვეყოთ ჩვენს საერთო და სამართლიან ბრძოლას, იქ სადაც ყველაზე საჭირო და აუცილებელია.

რუსულ ძალებთან ერთად ერთ მაგიდასთან სხდომა ჩვენთვის მიუღებელია, მით უფრო იმის ფონზე, როდესაც ოპოზიციის ერთიანობის შემდეგ, ნინო ბურჯანაძის მიერ ოკუპანტ სახელმწიფოში განხორციელდა ვიზიტი, ჩვენი პოლიტიკური გუნდის აზრით, მეტად საეჭვო ვითარებაში.

ეს არის ის წყალგამყოფი ხაზი, რომლის გადაკვეთასაც კანონი და სამართლის არც ერთი წევრი არასდროს არ დაეთანხმება. ვამაყობ იმ ლიდერებით, რომლებსაც ესმით ხალხის ხმა და სულისკვეთება!“ – ნათქვამია განცხადებაში.

„ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მოსკოვში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა.

ამის შესახებ „კურიერს“ „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გიგლა ბარამიძემ განუცხადა.

გიგლა ბარამიძის თქმით, ნინო ბურჯანაძე დეტალებზე მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ თავად ისაუბრებს.

– აღნიშნულ ვიზიტზე ინფორმირებულია გაერთიანებული ოპოზიციაც, – განაცხადა გიგლა ბარამიძემ.

## არჩილ თალაკვაძე: „ჩვენ მზად ვართ საარჩევნო კანონმდებლობაზე სალაპარაკოდ ოპოზიციასთან“

– ჩვენ დავიწყეთ საუბარი „გერმანულ მოდელთან“ დაკავშირებით, ნათელია პოზიციები და ელჩებმაც დაინახეს, თუ რა სერიოზული არგუმენტაცია არსებობს – ეს რეალურად საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებას.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საუბარი გაგრძელდეს სხვა შესაძლებლობებზე, რომლებიც 2020 წლის არჩევნებისთვის უფრო კონკურენტულ, გამჭვირვალე და თავისუფალი გარემოს შექმნას ეხება.

– ჩვენ უკვე დავსხედით მაგიდასთან და ვსაუბრობთ ოპოზიციასთან. როგორც ნახეთ, წინა ფორმატში წარმოდგენილი იყო საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია, ასევე სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარეები, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები და ვენეციის კომისია.

ჩვენ დავიწყეთ საუბარი „გერმანულ მოდელთან“ დაკავშირებით, ნათელია პოზიციები და ელჩებმაც დაინახეს, თუ რა სერიოზული არგუმენტაცია არსებობს, ეს რეალურად საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გავაგრძელოთ საუბარი სხვა შესაძლებლობებზე.

ეს სხვა შესაძლებლობები ეხება 2020 წლის არჩევნების ჩატარებისას უფრო კონკურენტული, უფრო გამჭვირვალე და უფრო თავისუფალი გარემოს შექმნას. ჩვენ მზად ვართ საარჩევნო კანონმდებლობაზე სალაპარაკოდ ოპოზიციასთან, – განაცხადა თალაკვაძემ.

## გახარია: „სამოქალაქო დაპირისპირებას სახელმწიფო არ დაუშვებს“

– ყველას, ვინც გაბედავს ან მოუწოდებს, ან გააღვივებს დაპირისპირებას, კანონის გარდა, მორალური პასუხისმგებლობაც დაეკისრება, – განაცხადა პრემიერმა გიორგი გახარიამ.

მისი თქმით, უპასუხისმგებლო ადამიანები ცდილობენ, ამ პოლიტიკურ, ემოციურად დაძაბულ პროცესში ახალგაზრდები ჩაითრიონ.

– რა თქმა უნდა, არანაირ სამოქალაქო დაპირისპირებაზე საუბარი არ არის და სახელმწიფო ამას არ დაუშვებს. მეორე – ძალადობაში ეჭვმიტანილი ყველა ფიგურანტი განურჩევლად უნდა იყოს დასჯილი, ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება. მესამე – კონტრაქცია, აქცია, ეს უკვე პოლიტიკური შეფასებებია და ყველა მხარე აძლევს თავისთვის საინტერესო და პოლიტიკურად მომგებიან შეფასებას.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ეს არის უაღრესად ემოციური ფონი, ემოციური ფონის გამომწვევი მიზეზები კი არის ბევრი რამ. პირველ რიგში, ის, რომ პოლიტიკური პროცესი პარლამენტში კი არ მიმდინარეობს, მიმდინარეობს ქუჩაში.

სამწუხაროდ, უპასუხისმგებლო ადამიანები ცდილობენ ამ პოლიტიკურ, ემოციურად დაძაბულ პროცესში ჩაითრიონ ახალგაზრდები და არ დაგვავიწყდეს არავის, რომ ეს ახალგაზრდები დღეს შეიძლება ერთმანეთთან ოპონირებენ, მაგრამ ხვალ ამ ხალხმა უნდა ააშენოს ეს ქვეყანა. ყველას, ვინც გაბედავს ან მოუწოდებს, ან გააღვივებს ამ დაპირისპირებას, კანონის გარდა, მორალური პასუხისმგებლობაც დაეკისრება, – განაცხადა პრემიერმა გახარიამ.

## ზუგდიდში „ოცნების“ მომხრეებმა ნაციონალების ოფისს კვერცხები, ცოცხები, ხელჯოხები და კასრები დაუშინეს

გუშინ, 3 დეკემბერს, საღამოს, ხმაური და დაპირისპირება იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის ოფისთან.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა ოფისის შენობას კვერცხები, ცოცხები, ხელჯოხები და კასრები ესროლეს. მათ ოფისის მინაც ჩაამტვრიეს.

ადგილზე პოლიცია მხოლოდ ინციდენტის დაწყების შემდეგ მივიდა, რის შემდეგაც 1 პოლიციელი დაშავდა – მას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერის მიერ ნასროლი ხელჯოხი მოხვდა.

### აქციაზე პოლიციელი დაშავდა

მოგვიანებით ოფისთან პოლიციამ საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო.

როგორც ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ლევან კვირკვაიამ ჟურნალისტებს უთხრა, გამოძიება 187-ე მუხლით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

როგორც კვირკვაია ამბობს, თუკი გამოძიების მიმდინარეობისას გამოიკვეთა კონკრეტული პირების ბრალეულობა, სამართალდამცავები შესაბამის ზომებს მიიღებენ.

ნაციონალური მოძრაობა ზუგდიდში მომხდარ დაპირისპირებაში პასუხისმგებლობას ადგილობრივ ხელისუფლებასა და პრემიერ გიორგი გახარიას აკისრებს.

პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანა წითლიძე ამბობს, რომ მათი ოფისის დასარბევად მმართველმა გუნდმა საჯარო მოხელეები და ააიპ-ების თანამშრომლები სხვადასხვა რაიონიდან ჩამოიყვანა.

მისივე თქმით, პოლიციას ჰქონდა დავალება, რომ ადგილზე სიტუაციის გამწვავებამდე და დარბევის დაწყებამდე არ გამოჩენილიყო.

ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ მსგავსი დარბევებით ვერ გააჩერებენ და ისინი ბრძოლის გაგრძელებას აპირებენ.

# ჯანდარის ტბაზე სიძე-ცოლისძმა დაიკარგნენ

### გიორგი ქველაძესა და ირაკლი ბოჭოიძეს საქართველოსა და აზერბაიჯანში ეძებენ

2 დეკემბერს ჯანდარის ტბაზე 2 მამაკაცი დაიკარგა.

26 და 21 წლის ახალგაზრდები ერთმანეთისთვის სიძე და ცოლისძმა არიან.

გიორგი ქველაძისა და ირაკლი ბოჭოიძის ოჯახის წევრებს იმედი აქვთ, რომ ბიჭების ნავი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დინებამ წაიღო და ისინი ცოცხლები არიან.

ოჯახი დაკარგულების ფოტოებს ავრცელებს და ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, ასევე თვითმხილველებს თხოვნით მიმართავს – თუ რაიმე ინფორმაცია აქვთ, დაუყოვნებლივ მიმართონ სამართალდამცველებს.

26 და 21 წლის ახალგაზრდები ჯანდარის ტბაზე 2 დეკემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე დაიკარგნენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მაშველები სპეციალური ტექნიკის საშუალებით აწარმოებენ ტბის ფსკერის წყალქვეშა მონიტორინგს.

ჯანდარის ტბაზე მუშაობენ წყალზე სამაშველო ჯგუფები, რომლებიც კატერების მეშვეობით ამოწმებენ ტერიტორიას. ადგილზე მობილიზებულია მყვინთავთა ჯგუფი. პროცესში ჩართულია სამაშველო დრონი და შესაბამისი ტექნიკა.

საძიებო სამუშაოებში ჩაერთო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამაშველო სამსახური. აზერბაიჯანული მხარე დაკარგულებს საკუთარ ტერიტორიაზე ეძებს. სამაშველო ღონისძიებებში ჩართულია წყალზე მაშველთა ჯგუფი და შესაბამისი ტექნიკა.

სანაპირო ზოლს ამოწმებენ მესაზღვრეები.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში ჯანდარის ტბაზე ორი მოქალაქის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია 2 დეკემბერს, დღის პირველ ნახევარში შემოვიდა. შეტყობინების მიღებისთანავე მეხანძრე-მაშველები შემთხვევის ადგილზე გაემგზავრნენ და სამაშველო ოპერაცია დაიწყეს. ტერიტორიისა და სიტუაციის შესწავლის შემდეგ საძიებო სამუშაოებში ვერტმფრენის ჩართვა გადაწყდა.

მთელი დღე ადგილზე მუშაობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მეხანძრე-მაშველთა 10-კაციანი ჯგუფი. ასევე ადგილზე იმყოფებოდა განსაკუთრებულ სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების ბაზის 5-კაციანი ეკიპაჟი, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

## ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ნიკა ლატარია გადადგა

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ნიკა ლატარია თანამდებობას ტოვებს.

ამის შესახებ მან სოციალური ქსელით განაცხადა.

ლატარიას თქმით, ეს გადაწყვეტილება არ უკავშირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

„ეს გადაწყვეტილება არანაირად არ უკავშირდება მიმდინარე მოვლენებს და გთხოვთ, არ დაუკავშიროთ იმას, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში და ქალაქში. მე რამდენიმე თვის წინ გავაჟღერე გუნდში წასვლის შესახებ, მაგრამ მთხოვეს, წლის ბოლომდე დავრჩენილიყავი თანამდებობაზე. თხოვნა შევასრულე.

ღმერთმა იცის, გულით და სულით ვემსახურე ჩემს ქალაქს და რაც შემეძლო, გავაკეთე. არც ერთხელ არ მიღალატია გუნდისთვის და მითუმეტეს ქვეყნისთვის და ქუთაისისთვის. მაპატიოს ჩემმა ქუთაისელებმა, თუ მეტი ვერ შევძელი. იყო ამის მიზეზები და არ დავიწყებ ამაზე საუბარს. უზომოდ მიყვარს ჩემი ქალაქი და ჩემი სამშობლო, ამიტომ სხვა ფორმით გავაგრძელებ მის სამსახურს“ – წერს ნიკა ლატარია.

## გერმანიის პროკურატურა: „ზელიმხან ხანგოშვილი გერმანიაში რუსულმა დაზვერვამ მოკლა“

გერმანიის ფედერალური პროკურორები მიიჩნევენ, რომ ბერლინში საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში რუსული დაზვერვა იყო ჩართული.

ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, ეს ფაქტი გამოიწვევს გერმანიის, დასავლეთის ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობების დაძაბვას, განსაკუთრებით სკრიპალების სკანდალის შემდეგ.

რუსეთის ყოფილი აგენტი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი ლონდონში გასულ წელს მოწამლეს.

შეგახსენებთ, საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილი ბერლინში 23 აგვისტოს მოკლეს.

## აფხაზეთში გენპროკურორი ზურაბ აჩბა, მისი მოადგილე ეშსოუ კაკალია და შს მინისტრი გარი არშბა მოხსნეს

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა ე.წ. გენერალური პროკურორი ზურაბ აჩბა თანამდებობიდან გაათავისუფლა.

დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ მანამდე თანამდებობა დაატოვებინა ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრს გარი არშბას, რისი მიზეზიც რამდენიმე დღის წინ სოხუმში ე.წ. კანონიერი ქურდების მკვლელობა, ხუთი ადამიანის დაჭრა და ერთი გატაცების ფაქტი გახდა.

თანამდებობის გარეშე დარჩა ე.წ. გენერალური პროკურორის მოადგილე ეშსოუ კაკალია.

დე ფაქტო პარლამენტის წევრთა თქმით, სამართალდამცავებმა არაფერი იღონეს დანაშაულების გამოსაძიებლად და დამნაშავეებს საშუალება მისცეს, თავი აერიდებინათ პასუხისმგებლობისთვის.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 294-02-55
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „თუკი დამარტყამენ, პასუხს არ გავცემ, დამარტყან!“

## „„ქართულმა ოცნებამ“ ასლან აბაშიძისა და შევარდნაძის გზა აირჩია“

ნონა ცაბაძე

გაერთიანებულმა ოპოზიციამ გერმანულ მოდელზე დაყრდნობით შეიმუშავა საარჩევნო სისტემის ქართული მოდიფიკაცია, რომელიც გუშინ სახალხო დამცველს გადაუგზავნეს, რათა სახალხო დამცველმა ოდირს გადაუგზავნოს.

საზოგადოებას ამის შესახებ „ახალი საქართველოს“ ლიდერმა **გიორგი ვაშაძემ** ამცნო, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, რას მოიცავს ეს ახალი ინიციატივა?***

– ჩვენ შევიმუშავეთ კანონპროექტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციასთან. ჩვენ მივმართეთ სახალხო დამცველს, რომელმაც მოგვიწოდა, რომ დავარეგისტრიროთ ეს კანონპროექტი, ეუთოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, პარლამენტში და ჩვენ ამასაც გავაკეთებთ.

***– ანუ ყველა პროცედურა უნდა გაიაროთ?***

– რა თქმა უნდა, მივყვებით ყველა პროცედურას და იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ეს წარგზავნილი იქმნება ეუთოში-ოდირში, რომელიც ამაზე სათანადო დასკვნას გააკეთებს. ჩვენ ველოდებით მათ დასკვნას.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ არ არის ჩვენს კონსტიტუციაზე მორგებული, ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

– ხელისუფლების წარმომადგენლები თუთიყუშებივით იმეორებენ არგუმენტის გარეშე – არ მინდა და არ არის მორგებული. ადგილობრივი კონსტიტუციონალისტები, ექსპერტები, ყველა ოპოზიციური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ყველა ამბობს, რომ კონსტიტუციასთან შესაბამისია.

***– მათი მიზანი არ არის ცვლილება. ასე რომ ყოფილიყო, ხომ არ ჩააგდებდნენ კანონპროექტს?***

– რა თქმა უნდა, ასეა და ახლაც უარგუმენტოდ იძახიან, ჩვენს კონსტიტუციასთან შეუსაბამოაო.

***– ამ პროცედურებს რა დრო დასჭირდება?***

– დაახლოებით ორ კვირას ვვარაუდობთ ჩვენ. ჩვენ ხომ ვერ განვუსაზღვრავთ ვადას ეუთოს, მაგრამ ასე ვვარაუდობთ, რომ 10 დღეში, 2 კვირაში უნდა მივიღოთ პასუხი მათი მხრიდან, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ ასევე განვაცხადეთ, რომ თუ შენიშვნები ექნებათ კონკრეტული მიმართულებით, მზად ვართ, ესეც გავითვალისწინოთ. ვამბობ ცალსახად, რომ ჩვენ ვართ სრულად კონსტრუქციულები, ისინი არიან დესტრუქციულები.

***– სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. ვნახეთ ორი მძიმე ინციდენტი, მცხეთაში და შემდეგ „ოცნების“ ოფისთან. საით მიდის პროცესები?***

– „ოცნება“ დგამს დესტრუქციულ ნაბიჯებს, ოპოზიცია აბსოლუტურად კონსტრუქციულია. ჩვენ ვისმენთ მათ ცინიკურ განცხადებებს. საერთოდ ხელისუფლება, რომელიც ძალადობაზე გადადის, დამთავრებულია, ეს ყველას უნდა ესმოდეს.

დღეს ჩვენთვის მთავარი ამოცანა არის შედეგი. ჩვენ გვინდა მშვიდობა და ვაგრძელებთ მშვიდობიან პროტესტს. ერთადერთი, რითაც ვუპასუხებთ ამ ძალადობას, იქნება ჩვენი მშვიდობიანი პროტესტი.

***– თუკი აგრესია იქნება მეორე მხრიდან? ეს უკვე ვიხილეთ გასულ დღეებში.***

– პირდაპირ გეუბნებით, თუკი დამარტყამენ ხელს, მე არ ვაპირებ მათ პასუხი გავცე, დამარტყან.

***– რატომ ჩახვედით მცხეთაში?***

– ჩვენ მშვიდობიანი ფორმებით ვაპროტესტებთ იმას, რასაც ადგილი ჰქონდა. ჩვენ წინასწარ დავაანონსეთ ეს აქცია. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ამ ძალას დავუპირისპიროთ, არის ჩვენი მშვიდობიანი აქციები, მშვიდობიანი მსვლელობა.

***– ხელისუფლება თქვენ გიწოდებთ დესტრუქციულ ძალას.***

– ეს ბოლო დღეები ხომ ნათლად აჩვენებს, თუ ვინ არის დესტრუქციული ძალა?! დესტრუქციული ძალა არის სწორედ „ქართული ოცნება“, რომელმაც სწორედ ქუთაისიდან დაიწყო ეს ძალადობა. ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობა საღებავით შეღებეს, სისხლის სამართლის კანონი დაარღვიეს.

შემდეგ ყველამ ნახა, რაც ჩაიდინეს მცხეთაში. ახალგაზრდა ბიჭები ძირს დაყარეს და ფეხს ურტყამდნენ სახეში. ეს მუტრუკები ჯერაც არ დაუკავებიათ. ამის მიუხედავად, ჩვენ ამ ყველაფერზე ვპასუხობთ მშვიდობიანად. არც ერთ შემთხვევაში ჩვენ არ დავუშვებთ ძალადობას. ჩვენი ძალა სწორედ ამაშია, რომ მათ აგრესიას, მათ დესტრუქციას ჩვენ მშვიდობიანი მეთოდებით ვუპასუხოთ.

***– ოპოზიციასაც ხომ ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ პროცესები მშვიდ ვითარებაში წარიმართოს, არ იყოს პროვოკაციები? მონებს გვიწოდებენ და არ ვაპატიებთო, აცხადებს „ოცნების“ ახალგაზრდული ფრთა.***

– რა თქმა უნდა და ჩვენ სრულად გვაქვს გააზრებული ეს სიტუაცია. ჩვენ პასუხისმგებლიანი ადამიანები ვართ და მათ აგრესიას მშვიდობიან ნაბიჯებს ვუპირისპირებთ. სწორედ ამიტომ არის, რომ მათ ლანძღვა-გინებას მშვიდობიანად ვხვდებით. სწორედ ამიტომ მათ ცემა-ტყეპას ჩვენ ცემა-ტყეპით კი არ ვპასუხობთ, არამედ მშვიდობიანი ნაბიჯებით ვპასუხობთ.

ჩვენ აგრესიულ ქმედებაზე არ გავდივართ. ყველა ხედავს, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ. ვხედავთ, ტროტუარზე ასულ მომიტინგეებს როგორ არბევენ, სპეცტექნიკას გვიპირისპირებენ. ჩვენ კი ამის საპასუხოდ ისევ და ისევ მშვიდობიან პროტესტს ვუპირისპირებთ. ისინი კიდევ პოლიციის კორდონებით გადაადგილდებიან.

ჩვენ აბსოლუტურად მშვიდობიანად გავიარეთ მცხეთის მერიასთან და ისევ და ისევ მათი მხრიდან იყო გინება და ძალადობა. თვითონ მოდიოდნენ პროვოკაციაზე. ჩვენი ძალა სწორედ მშვიდობიან მოქმედებაშია და არა ის, რასაც ისინი აკეთებდნენ.

ეს პროცესები გვაჩვენებს, რომ ეს მათი დასასრულია. ხელისუფლება, რომელიც კონტრაქციებით და ძალადობით ვიღაცების დაშინებას აპირებს, უკვე დამთავრებულია!

***– ბატონო გიორგი, როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?***

– აი, ასე მივალთ ყველგან, გამოვხატავთ მშვიდობიან პროტესტს და წავალთ. ასე მიზანმიმართულად გავაგრძელებთ მსვლელობებს, პიკეტირებას და ჩვენს პროტესტს.

***– პარლამენტის პიკეტირება იგეგმება?***

– ამ ეტაპზე არ იგეგმება, რადგან მოსამართლეების საკითხის განხილვა პარლამენტში გადაიდო და ძალიან კარგი, რომ გადაიტანეს. აი, ასე მოუწევთ ჩვენი განრიგით მუშაობა.

***– 9 დეკემბერს იყო დაანონსებული დიდი აქცია პარლამენტთან და ის გადაიდო?***

– არა, აქცია არ დაგვიანონსებია, 9 დეკემბერს პარლამენტის სხდომაა უბრალოდ. კომიტეტის სხდომა არ ტარდება და ამიტომ არც პიკეტირებას ვაპირებთ.

ჩვენ ვიმოქმედებთ მშვიდობიანად. ჩვენს გეგმებში ქაოსი და არეულობა არ შედის, ეს მათი მიზანია, რომ სიტუაცია დაძაბონ.

მომდევნო ორი კვირა ოპოზიცია რეგიონებში გადაინაცვლებს. პროცესები უნდა გაიშალოს, საქართველო მარტო თბილისი არ არის. როგორც მცხეთის მერიასთან მივედით მშვიდობიანად და წამოვედით, ასე მივალთ ყველა ქალაქში, ყველა მერიასთან და საკრებულოსთან.

„ქართულმა ოცნებამ“ აირჩია ასლან აბაშიძის და შევარდნაძის გზა. სამარცხვინოა ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ ეს დღეებია და რასაც „ოცნება“ და მისი აქტივისტები ჩადიან.

# თეონა აქუბარდია: „ივანიშვილს ხალხმრავალი აქციების ეშინია“

## „არა მგონია, ივანიშვილს ეყოს გამბედაობა, ქართველებს შორის დაპირისპირება არ დაუშვას“

იაგო ნაცვლიშვილი

ბოლო რამდენიმე დღეა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლები ოპოზიციას აქციებს უწყობენ, ხოლო ოპოზიციის აქციებზე კონტრაქციებს მართავენ. სახეზეა დაპირისპირების არაერთი კერა, რაც სამოქალაქო დაპირისპირების რისკებს აჩენს. ოპოზიცია პროცესს ხელისუფლებისგან მართულს უწოდებს.

ხომ არ ხდება სამოქალაქო დაპირისპირების რისკი, ჩანს თუ არა ხელისუფლების ხელი და რუსეთის კვალი ხომ არ იკითხება? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **თეონა აქუბარდია** საუბრობს.

***– კონტრაქციების გამართვა და ოპოზიციის აქციებთან სხვადასხვა ჯგუფის შეკრება პირდაპირ ხელისუფლებისგან არის მართული და რა რისკებს ხედავთ ამ მხრივ?***

– გახსოვთ ალბათ, როდესაც პირველი აქცია გაიმართა მას შემდეგ, რაც „ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარები აუჯანყდნენ, იმ ღამესვე საუბრობდნენ დასავლელი დიპლომატები, რომ დიალოგი იყო აუცილებელი და ქვეყნისთვის საშიში იყო პოლარიზაცია. რასაც ახლა ვხედავთ, ეს ხდება, სამწუხაროდ, პოლარიზაციას ხელს უწყობს მმართველი გუნდი. ერთი მხრივ, ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ყველაფერი არის ოპოზიციური ძალების ბრალი და რეალურად არაფერზე იღებს პასუხისმგებლობას, საკუთარ დაპირებაზეც კი. გვახსოვს, რომ მათ გააკეთეს განცხადებები, თითქოს იმიტომ ჩავარდა კანონპროექტი პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომ მათ ეს ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის განცხადებებს დააბრალეს.

რეალურად ვნახეთ „ქართული ოცნების“ აქტივისტები, ადმინისტრაციული სამსახურების თანამშრომლები, მათ შორის ბაღების სააგენტოების თანამშრომლები, რომლებიც პირდაპირ ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, ისინი არიან ამ ჯგუფებში. ისინი უპირისპირდებიან იმ ადამიანებს, რომლებიც აქტიურად ითხოვენ ბიძინა ივანიშვილისგან დაპირებების შესრულებას. ხელისუფლება ცდილობს, მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებად მონათლოს ყველა, ვინც ამ დაპირებების შესრულებას ითხოვს.

ვნახეთ, რომ პოლიციამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო დაპირისპირების აღკვეთა. ვნახეთ, რომ ორივე აქციაზე, მცხეთაშიც და თბილისშიც, დაშავდნენ მოქალაქეები, რომლებიც გადაიყვანა პოლიციამ. ვნახეთ, სოსო გოგაშვილის შვილი და სხვა კუნთმაგარი პირები გამოიყვანეს კონტრაქციაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ თვითონ „ქართული ოცნებაა“ მონდომებული, სამოქალაქო დაპირისპირებაზე წავიდეს, მაგრამ ოპოზიცია და სამოქალაქო აქტივისტები ამის სამართლებრივ შანსს არ უტოვებენ. „ოცნება“ ცდილობს, ძალადობრივი გზით შეინარჩუნოს ხელისუფლება.

***– გააკეთეს განცხადებები პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ. თალაკვაძე ამბობს, რომ ყველა მხარე, ვინც შესაძლოა ძალადობაზე წავიდეს, დაკავებული უნდა იყოს, გახარია კი ამბობს, რომ სახელმწიფო ძალადობას არ დაუშვებს. ეს მუქარად ხომ არ უნდა აღვიქვათ იმისათვის, რომ პროტესტი ჩაახშონ?***

– ჩვენ ვხედავთ, მმართველი პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ეუბნებოდნენ, დაგამ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# შალვა შავგულიძე: „სამოქალაქო დაპირისპირებას „ოცნება“ აღვივებს“

## „ოპოზიცია ხელისუფლების საქმეს აკეთებს“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო შალვა, პრემიერმა გახარიამ განაცხადა, რომ სამოქალაქო დაპირისპირებაზე საუბარი არ არის და ამას სახელმწიფო არ დაუშვებს. რამდენად მყიფეა დაპირისპირების ზღვარი?***

– თუკი ვინმე სამოქალაქო დაპირისპირებას აღვივებს ქვეყანაში, ეს პირველ რიგში ხელისუფლება არის. ეს საპროტესტო ტალღა ხომ ხელისუფლებამ გამოიწვია, რომელმაც საკუთარი ხალხი და დანარჩენი საზოგადოება მოატყუა. ხელისუფლება ცდილობს არსებული პოლიტიკური კრიზისი, რომელიც თავად შექმნა, არ განმუხტოს. პირიქით, მოვლენების ესკალაციას ცდილობს. ოპოზიციური სპექტრი კი ვცდილობთ, როგორმე განვმუხტოთ ეს პოლიტიკური კრიზისი.

***– როგორ?***

– ხელისუფლება ხომ გვეუბნება, კონსტიტუციური უმრავლესობა ვერ დავარწმუნე, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავსულიყავითო. ჩვენ გამოსავალს ვთავაზობთ – ე.წ. გერმანული მოდელის ქართულ მოდიფიკაციას. ამ კანონპროექტის მისაღებად სულაც არ არის საჭირო საკონსტიტუციო უმრავლესობა. 76 ხმა არის საჭირო. ძალიან ადვილად არის მისაღწევი ეს ყველაფერი.

პარლამენტში ოპოზიციურ სპექტრს „ქართული ოცნებიდან“ რამდენიმე ხმის დამატება დასჭირდება, მეტი არაფერი. ეს შეთავაზება რომ იყო კომპრომისული და ამ პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის შესაძლებლობა, ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების ელჩებმა ეს დაინახეს, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ხისტად გამოგვიცხადა: თემა დახურულია!

***– გამოდის, ხელისუფლება ასე ხისტად თემას ვერ დახურავს?***

– ჯერჯერობით ვერ დაასრულა და მას ოპოზიციასთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა მოუწია. ჩვენ ხელისუფლებას ისევ ვთავაზობთ, გამოსავალი ვეძიოთ. კომპრომისული პროექტი საერთაშორისო არბიტრებს, ეუთო-ოდირს და „ვენეციის კომისიას“ გადავუგზავნოთ და მათ დადონ დასკვნა. თუ ექნებათ შენიშვნები, ჩვენ მზად ვართ, გავიზიაროთ.

ჩვენ ვიბრძვით გამოსავლისთვის. ოპოზიციამ აიღო სწორედ სახელისუფლებო პასუხისმგებლობა. ხელისუფლება კი აქაც ხისტია. ის ცდილობს, არ მოხდეს პროცესების განმუხტვა. პირიქით, ესკალაციას ახდენს. ის მოქალაქეების ნაწილს კონტრაქციით უპირისპირდება. კანონით კი არა, ხალხით უპირისპირდება.

ეს არის საკუთარი ქვეყნის ღალატი. მტერი ვერ გაუკეთებს ქვეყანას იმაზე მეტ ზიანს, რაც სამოქალაქო დაპირისპირებაა.

***– ეს ალბათ ყველაზე საშიში ზღვარია.***

– რა თქმა უნდა! ეს ერთხელ დაგვმართა რუსეთმა და დღემდე ვერ მოგვიშუშებია. სამწუხაროდ, ახლა იგივეს „ქართული ოცნება“ აკეთებს. აკეთებს იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ეს არის კოლაბორაციული ხელისუფლება.

დღეს ცინიკურად გვეუბნება პრემიერი, ყოფილი შინაგან საქმეთა დამნაშავე მინისტრი, რომ ვიღაცებს სამოქალაქო დაპირისპირების უფლებას არ მისცემს, მაგრამ ამის ყველანაირ პროვოცირებას ახდენს თავად ხელისუფლება.

***– რა მოლოდინი გაქვთ, ხელისუფლება დაიხევს უკან?***

– რა მოლოდინი უნდა გვქონდეს, როდესაც ხელისუფლებამ უკან წაიღო თავისი დაპირება, რომ კვლავ სრული კონტროლი შეინარჩუნოს პარლამენტზე, რათა ისევ სრულად მის ხელში იყოს ძალაუფლება.

ხომ გვახსოვს ყველას, როგორი დიდი იყო სახალხო მღელვარება ამ დანაპირების გაცემამდე?! ამ დანაპირების გაცემის შემდეგ ყველამ დაძლია აღშფოთება, ეს საპროტესტო ტალღაც ჩაცხრა და ყველა მოლოდინის რეჟიმში გადავიდა, ველოდით ხელისუფლების მიერ გაცემული პირობის შესრულებას.

სამართლიანი არჩევნების პირობებში „ქართული ოცნება“ ვერ ინარჩუნებს ხელისუფლებას. ეს იცის კარგად და ამიტომაც უკან წაართვა დაპირებული სამართლიანი საარჩევნო სისტემა საზოგადოებას.

ამის ფონზე გაჩნდა ეს საპროტესტო ტალღაც. ამ მოთხოვნაში ოპოზიციური სპექტრი გაერთიანებულია, მიუხედავად რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებისა.

ყველა, მინუს „ქართული ოცნება“ – ასეთია მოცემულობა. პროტესტი სამართლიანი და ლეგიტიმურია, რაც თავად ხელისუფლების უპასუხისმგებლო მოქმედებამ გამოიწვია. ამიტომ, მათ არაფერი არ გამოუვათ, რადგან საზოგადოებას უკვე გამოცდილებაც აქვს საიმისოდ, რომ თეთრი და შავი, კეთილი და ბოროტი გაარჩიოს.

# შოთა მალაშხია: „ეს „ქართული ოცნების“ კრიზისის ბოლო ეტაპია“

## „ამ ხელისუფლებამ მამები და შვილები ერთად დააყენა, „ქართული ოცნების“ მომხრეები კი ამ ზნეობრივ მოვლენას გაუკულმართებულად აფასებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციის აქციებს სულ უფრო ხშირად მოსდევს კონტრაქციები და დაპირისპირება. რასთან გვაქვს საქმე? რატომ ინერგება აზრი, რომ ოპოზიციონერები წინ შვილებს იფარებენ? რა ხდება პარლამენტში? რატომ გახშირდა ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით ასლან აბაშიძის ხსენება?

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას.**

***– რას იტყვით ხელისუფლების მოწინააღმდეგეებისა და მომხრეების შეხლა-შემოხლის ფაქტებზე? ერთ-ერთი ასეთი ინციდენტი „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან მოხდა.***

– ამაში ახალს ვერაფერს ვხედავ. კრიმინალური ელემენტები ამ ხელისუფლებას ყოველთვის გამოჰყავდა თავისი ინტერესებისთვის. გაიხსენეთ არჩევნები. „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, თბილისის მერი კახა კალაძე ღიად ლაპარაკობდა თავის კავშირებზე ქურდებთან. „ოცნების“ ოფისთან ახალგაზრდობა შეიკრიბა და კრიმინალები მის წინააღმდეგაც გამოიყენეს.

ეს „ქართული ოცნების“ კრიზისის ბოლო ეტაპია. ამ პარტიას ყოველთვის უცნაური მენტალიტეტი ახასიათებდა. ეს კომუნისტურ-კრიმინალური მენტალიტეტია. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლოს იყო ამდაგვარი მოვლენა – გავლენიანი კომუნისტები ამაყობდნენ დამნაშავეთა სამყაროსთან სიახლოვით და პირიქით. „ქართულ ოცნებაში“ ძირითადად ასეთი ხალხია.

***– ბოლო დროს მმართველ პარტიაში გარკვეული ძვრებია.***

– მონების აჯანყება არადამაჯერებელია. მონების აჯანყება ყოველთვის მარცხით მთავრდება. გამარჯვება მოაქვს თავისუფლებისთვის ბრძოლას. „ოცნების“ ნამდვილი სახე ზოგმა 2012 წელს იცოდა, ზოგი ამას 2013-ში მიხვდა, ზოგიერთი – მოგვიანებით.

საზოგადოებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა 20-21 ივნისი. ეს იყო ზღვარი იმათთვისაც, ვინც თვალცრემლიან ბიძინა ივანიშვილს დაუჯერა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის

შემდეგ. წესით, მოტყუებული აღარავინ უნდა იყოს მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ უნდა საქართველო ქართველების გარეშე. მას ქვეყანაში არ სჭირდება მოტივირებული, მოაზროვნე, აქტიური ადამიანები. განსაკუთრებით, ახალგაზრდები.

***– აქტიური ახალგაზრდების შესახებ ხდება ერთი მოსაზრების ტირაჟირება. ხელისუფლების მომხრეები აცხადებენ, რომ ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა წინ აიფარეს თავიანთი შვილები.***

– ეს აბსურდული შეფასებაა. ამ ხელისუფლებამ მამები და შვილები ერთად დააყენა, „ქართული ოცნების“ მომხრეები კი ამ ზნეობრივ მოვლენას, ამ პოზიტივს, გაუკულმართებულად აფასებენ.

20-21 ივნისის მოვლენების დროს მეც შვილებთან ერთად ვიყავი აქციაზე. ახლაც ბევრი პოლიტიკოსის შვილი გამოდის გარეთ და აქტიურობს. მამებსა და შვილებს შორის ტრადიციულად არის წინააღმდეგობა, გარკვეული კონფლიქტი. „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი საზიზღარი სიტუაცია შექმნა, რომ ამაზე ყველა შეთანხმდა და გაერთიანდა.

ეს „ოცნება“ ჩამოყალიბდეს მაინც, რას ამბობს! აქციებს ხან ახალგაზრდობის გამოსვლებს ეძახდნენ, ხან პარტიულ შეკრებებს. ახლა ამბობენ, შვილები გამოდიანო.

***– ყველაზე ხშირად ნაციონალების აქციებს უწოდებენ ამ გამოსვლებს.***

– დიახ. სწორედ იმას ვამბობ, რომ თუ ვინმე დარჩათ მომხრე, იმათ მაინც გააგებინონ, რას ამბობენ. ამ მოძრაობამ გააერთიანა უამრავი პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ერთიანია ხელისუფლების კრიტიკაში.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილისა და მისი გარემოცვის ადგილი არ არის არც საქართველოში და არც ევროპაში. ამ ხალხის ადგილი რუსეთშია. ძალიან სწორად მოიქცა მამუკა ხაზარაძე, როცა მას „აეროფლოტის“ ბილეთი აუღო. სხვებმაც უნდა ავუღოთ რუსეთში წასასვლელი ბილეთი, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდეს ივანიშვილის მენტალობა. ივანიშვილიც რუსულ საქმეს აკეთებს, პრეზიდენტიცა და პრემიერიც.

***– ბიძინა ივანიშვილს და მის ხელისუფლებას მხოლოდ კრიმინალური ელემენტები არ ჰყავს გვერდით.***

– დიახ. არიან სხვა პირები, რომლებსაც მატერიალური ინტერესი აქვთ. ისინი ივანიშვილის დაცვისათვის ხელფასებს იღებენ. ასეთები ყოველთვის იყვნენ. ზოგი მეფის რუსეთს ემსახურებოდა და ზოგი – საბჭოთა რუსეთს. კრიმინალური „სასტავი“ ახლა იმიტომაც დასჭირდა „ოცნებას“, რომ პოლიცია ვეღარ მუშაობს.

***– რას ნიშნავს „პოლიცია ვეღარ მუშაობს“?***

– პოლიციელებს ხალხის დარბევა არ უნდათ. მეორე მხარეს მათი შვილები, ცოლები, ახლობლები დგანან. ფაქტობრივად, ხელისუფლების საპირისპიროდ იმყოფება მთელი ერი. პოლიციელები ბიძინას გამო ერს არ ეწინააღმდეგებიან.

***– „ქართული ოცნების“ აქტივი საკმაოდ ხისტია. ამის მაგალითია ირაკლი კობახიძე, რომელიც რამდენიმე დღის წინ ამბობდა, რომ ქუჩაში გამოსულია 200 ნაციონალი.***

– შეიძლება კაცი დედის ფუნთუშებზე იყოს გაზრდილი და არაფერი დააშავოს. კობახიძე სხვაა. „ბულკებზე“ გაზრდილი ბიჭი რომ მერე პოლიტიკაში აღმოჩნდება და ძველბიჭობას დაიწყებს, ეს უკვე კომიკურია. ირაკლი კობახიძე ლამის ჩაიცუცქოს და ისე დაუწყოს „კაჩაობა“ ოპონენტებს. ამ ოპონენტებს დაემუქრა, დაგამთავრებთო. ესეც კარიკატურულია.

***– პარლამენტში მიმდინარე მოძრაობას როგორ აფასებთ?***

– უმრავლესობიდან გამოდიან დეპუტატები. მათ „ოცნების“ ჭაობში დარჩენა არ შეუძლიათ. ისინი გამოდიან, მაგრამ ცალი ფეხი უკან რჩებათ.

***– ოპოზიციაში ვერ გადადიან?***

– მათ მამა-მარჩენალის, ანუ ივანიშვილის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. აი, მაჟორიტარები ბერაია და ხუნდაძე კი მათთვის დიქტატორები არიან! გამოსულების ლოზუნგი დაახლოებით ასე ჟღერს – „ძირს ბერაია-ხუნდაძის დიქტატურა“.

***– ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად ახსენებენ ასლან აბაშიძეს. სააკაშვილმაც გაიხსენა, ასლან აბაშიძემ თან 5 კაცი წაიყვანა.***

– ასლან აბაშიძე ბიძინა ივანიშვილზე ბევრად უკეთესი ადამიანი იყო. მან ხიდებიც ააფეთქა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ უნდა წასულიყო და პოლიტიკიდანაც წავიდა.

შევარდნაძეს ყოველთვის ვაკრიტიკებდი, მაგრამ ივანიშვილთან შედარებით მისი დონე ძალიან მაღალი იყო. ივანიშვილს აღემატებოდა აბაშიძეც. ივანიშვილი 8 წელია პოლიტიკაშია და აღიარებს, რომ პოლიტიკა ვერ ისწავლა. ამაში ვეთანხმებით, მაგრამ სახელმწიფომ რა დააშავა? თუ პოლიტიკა ვერ ისწავლა, არ უნდა წავიდეს?

ეს კაცი ხელისუფლებაში მოვიდა ქვეყნის დასანგრევად. მან ყველა ინსტიტუტი ისე მოახრჩო, როგორც ამას ანაკონდა აკეთებს. ამაზე საუბარი მაქვს ჩემს დოკუმენტურ ფილმშიც. როგორ შეიძლება, ადამიანმა ამხელა ფული იშოვო რუსეთში ისე, რომ კრემლზე დამოკიდებული არ იყო?!

# გომელაურმა და გახარიამ საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ახალი შენობა გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ახალ შენობაში სხვადასხვა მიმართულების ექსპერტიზის 20 ლაბორატორია ამოქმედდა, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტების გენეტიკური (დნმ) ლაბორატორია.

საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში აშენებული შენობა და მასში განთავსებული თანამედროვე ლაბორატორიები პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა დაათვალიერეს.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ახალ ადმინისტრაციულ შენობაში ყველა ლაბორატორია მოწყობილია ISO სტანდარტების სრული დაცვით.

დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა ბიოლოგიური ექსპერტიზის სამსახური, რომელიც ამ დრომდე არ არსებობდა და გენეტიკური კვლევების ჩატარება შეუძლებელი იყო.

ეს ფაქტორი, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აფერხებდა კომპლექსურ კვლევებსა და სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებს.

გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზის უახლესი ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე, მაღალი ხარისხის და საერთაშორისო სტანდარტების დანადგარებით.

აღნიშნული ლაბორატორიის საშუალებით უკვე შესაძლებელია დანაშაულის ადგილიდან ამოღებული ბიოლოგიური ნიმუშების დროული და მაღალხარისხიანი ექსპერტიზის დასკვნების მომზადება.

ახალი ლაბორატორიები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დანაშაულების სწრაფ და ეფექტიან გამოძიებას.

– ეს ლაბორატორია ჩვენს პოლიციელებს, გამომძიებლებს აძლევს საშუალებას, რომ ეფექტურად შეასრულონ თავისი მოვალეობა. აქ არის სრულიად თანამედროვე, უახლესი ლაბორატორიები, რომლებიც ჩვენ ადრე არ გვქონდა. დნმ-დან დაწყებული, ბალისტიკით დამთავრებული.

ყველაზე მთავარი არის ის, რომ მთელმა გუნდმა ძალიან ეფექტურად იმუშავა და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში გაკეთდა.

მსურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თითოეულ პოლიციელს და რაც მთავარია, კრიმინალისტიკის დეპარტამენტს მივულოცო, ისინი უკვე რამდენიმე დღეა ოპერირებენ ამ შესანიშნავ გარემოში და ვუსურვო წარმატებები, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.

– ჩვენ ვნახეთ სულ ახალი შენობა, ახალი აპარატურა, ახალი პროგრამები. 1 წელიწადში მოხერხდა ამის აშენება, აპარატურის შემოტანა. დაახლოებით, 19-20 მიმართულებაა საექსპერტო-კრიმინალისტიკური მიმართულებით და ახლა დაემატა კიდევ დნმ-ის კვლევის ჯგუფი, განყოფილება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია.

მე მინდა, წარმატებები ვუსურვო ჩვენს თანამშრომლებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე არ გავჩერდებით, კიდევ ვეცდებით, რომ ახალი პროგრამები, აპარატურა შემოვიტანოთ და დავხვეწოთ, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა.

ახალ შენობაში თანამშრომელთათვის გაუმჯობესებული სამუშაო პირობებია და ექსპერტიზის ლაბორატორიების გარდა, განთავსებულია ბალისტიკური ტირი, სპეციალური საცავები, სამუშაო სივრცეები, ასევე, მოეწყო სამუზეუმო-საგამოფენო სივრცე და რეკრეაციული ზონა.

შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების თანამედროვე, მძლავრი სისტემებით.

# თეონა აქუბარდია: „ივანიშვილს ხალხმრავალი აქციების ეშინია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თავრებთო. გახსოვთ გახარიას ეს განცხადებაც. ვხედავთ იმას, რომ აცხადებენ, 2020-ში ნაციონალური მოძრაობა უნდა გაქრესო. შეიძლება მოგწონდეს ან არა, მაგრამ, გინდა თუ არა, ამ პოლიტიკურმა ძალამ საპრეზიდენტო არჩევნებზე აიღო 800.000 ხმა.

როდესაც ხელისუფლება ცდილობს, გააერთიანოს და გააიგივოს ნაციონალური მოძრაობა ყველასთან, ვინც პროპორციულ არჩევნებს ითხოვს, ამას რა ჰქვია, არც კი ვიცი და ამას აკეთებს იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესებს უშვებს ქუჩაში. დიპლომატების მცდელობა იყო, დიალოგი შემდგარიყო, მაგრამ ხელისუფლებამ გამოუშვა ამ დიალოგზე ისეთი პირები, როგორებიც წულუკიანი და კობახიძე არიან. ამ ადამიანების განცხადებები ყველაზე უფრო ზიზღის შემცველი ხასიათის არის. შესაბამისად, მათ არ დატოვეს დიალოგის სივრცე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები ამისკენ დღესაც აქტიურად მოგვიწოდებენ, იმიტომ, რომ რაც ქუჩაში ხდება, ეს პროცესები საშიშია ქვეყნისთვის და აუცილებელია დიალოგი და ამაზე მსჯელობა.

***– რუსულ სცენარსაც ხომ არ ხედავთ იმაში, რომ პროცესები გადაიზარდოს ქუჩის დაპირისპირებაში და ქაოტური ვითარება შეიქმნას სხვადასხვა ჯგუფს შორის?***

– როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ამ პოლარიზაციასა და დაპირისპირებას სხვადასხვა რისკი აქვს, აქ, ერთი მხრივ, ეს არის რუსეთი, რომელმაც გააძლიერა ზეწოლა ჰიბრიდული ომის გამოყენებით საქართველოზე. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც საქართველოში ქაოსი აწყობს, არის რუსეთი. მეორე მხრივ, რუსეთი ერევა არა მხოლოდ საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის წარმართვაში. ევროინტეგრაციის გზისკენ სვლის შენელება და დემოკრატიული ხარისხის შემცირება, იქნება ეს არჩევნებთან დაკავშირებით, ვიზალიბერალიზაცია თუ სხვა, სამწუხაროდ, ხდება ორი ძალის ინტერესებით. ერთია „ქართული ოცნება“, რომელიც ამას აკეთებს საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით და მეორეა რუსეთი, რომელიც ცდილობს, საქართველო არ გაუშვას გავლენის სფეროდან.

ამიტომ ძალიან ცუდად ემთხვევა რუსეთისა და „ქართული ოცნების“ ინტერესები და „ქართული ოცნება“ ასრულებს რუსეთის ინტერესების შესაბამის ქმედებებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დიპლომატიური კორპუსი კიდევ უფრო მეტად გააქტიურდეს. ე.წ. გერმანული მოდელი, რომელიც ეუთო/ოდირს გადაეგზავნება, მნიშვნელოვანია, რომ დროულად იქნეს შესწავლილი, რომ ეს მოდელი შეესაბამება კონსტიტუციას, რათა ეს პროცესები ყველანაირად გადავიდეს დიალოგის ფორმატში და არ დავუშვათ სამოქალაქო დაპირისპირება.

ძალიან ბევრი რამის მანიშნებელი იყო ივანიშვილის განცხადება შევარდნაძესთან დაკავშირებით, რომ შევარდნაძე სუსტი იყო და დღეს გვახსენებენ, რომ თითქოს „გაბედეს“, აქტივისტები არიან „კმარელები“ და თითქოს ვარდების რევოლუცია იყო ნეგატიური მოვლენა საქართველოში. იდეოლოგიური ნარატივი რაც არის, ეს არის აბსოლუტურად რეტროგრადული. რეალურად, შევარდნაძის პერიოდში თვითონ შევარდნაძეს ეყო იმდენი გამბედაობა, რომ არ დაეშვა სამოქალაქო დაპირისპირება რუსთაველის გამზირზე, მაშინ როცა ასლან აბაშიძის მომხრეები იყვნენ მობილიზებული.

დღეს მე არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილს ეყოს იმდენი გამბედაობა, შუაში ჩადგეს და არ დაუშვას დაპირისპირება ქართველებს შორის. ამ შემთხვევაში ეს კიდევ უფრო დიდი რისკის შემცველია, ვიდრე შევარდნაძის დროს. ასე რომ, პროცესების სამოქალაქო დაპირისპირების გზით განვითარება ვისაც აწყობს, ერთადერთი ქვეყანა რუსეთია. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს იმიტომ, რომ მისთვის ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზა სწორედ ეს არის.

***– საზოგადოებამ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს რისკები თავიდან იყოს აცილებული?***

– დღეს, ვფიქრობ, ყველას უნდა გვქონდეს იმხელა პოლიტიკური გამოცდილება, რომ სამოქალაქო დაპირისპირება არ დავუშვათ. ვხედავთ, რომ აქციის მონაწილეები, რომლებიც ითხოვენ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი დაპირისპირების თავიდან აცილებას, ძალადობას არ მიმართავენ. შესაბამისად, ყველამ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ დავუშვათ სამოქალაქო დაპირისპირება, ასევე უნდა გავაფრთხილოთ ჩვენი პარტნიორებიც.

ერთადერთი, ივანიშვილს რისიც ეშინია, განსხვავებით სააკაშვილისგან, არის ხალხმრავალი აქციები. ყველას გვახსოვს, რომ ბიძინა ივანიშვილი იყო შეშინებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დროს და ასევე 20 ივნისის ავბედით ღამეს, როდესაც მან დათმო და დაგვპირდა, პროპორციულ სისტემაზე გადავდივარო, ეს იყო სწორედ იმ ხალხიდან გამომდინარე, რომელიც იყო აქციაზე გამოსული.

თუ ოპოზიცია მოახერხებს, რომ ხალხის რაოდენობა დაფიქსირდეს ქუჩაში მშვიდობიანი მიტინგის სახით, ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილმა დათმოს. ამ ყველაფერთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი დასავლელი პარტნიორების ზეწოლა ხელისუფლებაზე, რომ მშვიდობიანი პროცესი განვითარდეს. სხვა შემთხვევაში პოზიტიურ სცენარს მე ვერ ვხედავ, რაც იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

# კარდენახში 34 წლის ქალის ცხედარი სახლის ეზოში იპოვეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში 34 წლის გოგო სახლის ეზოში გარდაცვლილი იპოვეს.

ახლობლების თქმით, მას ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ამირან სალუქვაძე: „ოპოზიციის მხრიდან აბსურდული მოდელია შემოთავაზებული“

გულიკო ბალაძე

**რა ხლართებია ოპოზიციის შემოთავაზებულ საარჩევნო პროექტში? ვინ მოიგებს ოპოზიციის შემოთავაზებული მოდელით არჩევნების ჩატარებისას? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე ესაუბრა.**

***– ბატონო ამირან, თქვენ ოპოზიციის მიერ წარმოდგენილ საარჩევნო პროექტზე, ე.წ. გერმანულ მოდელთან დაკავშირებით ფეისბუქზე დაწერეთ: „ოპოზიციის მოდელით პარტია, რომელიც პარტიული სიით მიიღებს მეტ პროცენტს და მოიგებს მაჟორიტარულ ოლქებს, აგებს, ხოლო ოპოზიცია ქმნის მთავრობას“. რადგან ამას წერთ, ალბათ გაერკვიეთ ამ პროექტში. რეალურად რა ხდება? იქნებ ცოტა უფრო მეტად აგვიხსნათ.***

– რეალურად ის ხდება, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც უნდა იყოს ხელისუფლებაში, მსგავს შეთავაზებას ვერ და არ მიიღებს.

***– როგორ ხდება ისე, რომ თუ პარტია ამომრჩეველთა ხმების მეტ პროცენტს მიიღებს, წააგებს?***

– როგორ ხდება და გერმანულ მოდელთან მხოლოდ მცირედი მსგავსება შეიძლება იყოს, მაგრამ აბსოლუტურად დამახინჯებულია. გერმანულ მოდელთან პრინციპულ საკითხებში არის აცდენილი. მე გავიარე კონსულტაციები სხვადასხვა სპეციალისტთან – იურისტებთან, კონსტიტუციონალისტებთან.

***– პროექტი წაიკითხეთ?***

– მოვისმინე სარეკლამო რგოლი, რომელიც გიორგი ვაშაძის გვერდზე დევს. ასევე ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი პუბლიკაცია წავიკითხე. გერმანულ მოდელში აბსოლუტურად სხვაგვარად ხდება პარლამენტის ფორმირება. გერმანულ მოდელში არ არის განსაზღვრული ზედა ზღვარი. გერმანული მოდელიდან სხვადასხვა ელემენტის მექანიკურად გადმოკოპირება, თუ არ მიუსადაგე ქართულ რეალობას, აბსოლუტურად მიუღებელია.

***– ზედა ზღვარი განსაზღვრული რომ არ იყოს?***

– ზედა ზღვარი რომ არ იყოს, მაშინ, თუ რომელიმე პარტია (დავანებოთ თავი „ოცნებას“) რომელიმე მაჟორიტარულ ოლქს მოიგებს და პროპორციული სიით გარკვეულ პროცენტს აიღებს (შერეული სისტემით ხომ ორი ბიულეტენია მაჟორიტარული და პროპორციული), იქ პარლამენტის დეპუტატების რიცხოვნობის ცვლილებით ხდება დაბალანსება ანუ, მონაცემებიდან გამომდინარე, თუ საჭირო გახდება, ერთ შემთხვევაში შეიძლება დაამატონ დეპუტატების რიცხვი, მეორე შემთხვევაში შეიძლება მოაკლდეს. ამიტომ გერმანიის პარლამენტის რიცხოვნობა სხვადასხვა დროს სხვადასხვაა.

იმ პროექტით, რომელიც გიორგი ვაშაძის გვერდზე დევს, რომელიმე პარტიამ 73-ვე მაჟორიტარული ოლქი რომ მოიგოს, ის, ფაქტობრივად, პროპორციული სიით ვერავის გაიყვანს და ოპოზიციაში აღმოჩნდება, ანუ ნებისმიერი პარტია, რომელიც, ვთქვათ, აიღებს მაჟორიტარული ოლქების უმრავლესობას, მოიგებს, მაგალითად, 30-40%-ს. იმის გამო, რომ მაჟორიტარული ოლქები მოიგო, მას აკლდება პროპორციული ოლქებით მიღებული პროცენტების რაოდენობა. როცა შედეგებს აფასებ, სამართლიანობასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, თუ დღევანდელი მოდელით, პარტია, რომელიც, ვთქვათ, მაჟორიტარული ოლქების უმრავლესობას იგებს, ახერხებს უმრავლესობის ჩამოყალიბებას და მთავრობას ქმნის, შემოთავაზებული მოდელით, პარტია, რომელმაც პარტიული სიითაც მოიგო და მაჟორიტარულ ოლქებშიც, უმრავლესობას ვერ აყალიბებს და, ფაქტობრივად, ოპოზიციაში გადადის, თუ მის წინააღმდეგ შეიკვრებიან პარტიები, რომლებმაც გაცილებით უარესი შედეგი აჩვენეს.

ასევე (რაც ჩემთვის გაუგებარია. სპეციალისტებთან კონსულტაციები მქონდა და ვერაფერი გავიგე) აყალიბებენ მრავალმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებს. დავუშვათ, კახეთში შეიძლება ჩამოყალიბდეს მრავალმანდატიანი ოლქი. შესაბამისად, იქნება 7 ან 8 მაჟორიტარი დეპუტატის ადგილი, მაგრამ მოქალაქე, რომელიც მიდის არჩევნებზე, ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევს.

***– ანუ ამომრჩეველს 8 კანდიდატს შორის აქვს არჩევანის საშუალება?***

– დაახლოებით ასეა, მაგრამ, ვთქვათ, საგარეჯოში მცხოვრები ვერ გაიგებს, ვის აძლევს ხმას. იქ მხოლოდ 8 კანდიდატი კი არ იქნება, არამედ მრავალი პარტიის 8-8 კანდიდატი. ამომრჩეველმა ერთი პარტიის 8 კანდიდატი რომ შემოხაზოს, მისი ხმა მიეცემა მხოლოდ ერთ კანდიდატს. „ოცნების“ ან ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა 8-ვე მანდატი რომ მოიპოვონ, მხოლოდ ერთს მიიღებენ. ე.ი. 8 კანდიდატში გადის ერთი და ვისაც საუკეთესო შედეგი აქვს მიღებული. შეიძლება ერთმა კანდიდატმა აიღოს 10 ათასი ხმა და მასთან ერთად გავიდნენ კანდიდატები, რომლებმაც მოაგროვეს 200, 150, ან 100 ხმა. აბსურდული მოდელია შემოთავაზებული, რომელიც მე არ მომეწონება არც დღეს და არც 30 წლის შემდეგ, არა აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლებაში ვინ იქნება.

***– საინტერესოა, ამ მოდელის ავტორები თუ ერკვევიან ამ ლაბირინთებში?***

– თვითონ ძალიან კარგად ერკვევიან. მათ ხელისუფლებას შესთავაზეს ისეთი მოდელი, რომლის პირობებშიც, თუ ხელისუფლება მოიგებს პროპორციული სიით და, ამავე დროს, მოიგებს მაჟორიტარული მანდატების უმეტესობას, მაინც ოპოზიციაში აღმოჩნდება. როცა ხელისუფლებას ასეთ მოდელს სთავაზობენ, ამით ხომ შეთანხმებამდე ვერ მივლენ. ე.ი. ხელისუფლებას სთავაზობენ, რომ თუ ის 2020 წელს არჩევნებს მოიგებს, ყველა შემთხვევაში იქნება ოპოზიციაში. ამას ვინ დასთანხმდება.

***– დღეს არსებული საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარების დროსაც ხომ შეიძლება, ისეთი შედეგები მივიღოთ, რომ კოალიციური მთავრობა იყოს შესაქმნელი, მთავრობა ვერ შეიქმნას და კრიზისი იყოს?***

– რა თქმა უნდა, შეიძლება ასეც მოხდეს, თუ ხელისუფლებას მოიგებენ. ახლა ხომ 50%-იანი ბარიერია და ძალიან ბევრ საარჩევნო ოლქში მეორე ტური იქნება. ახლახან შუალედურ არჩევნებში, მარტვილში, ადიგენსა და ლაგოდეხში ოპოზიციამ (ძირითად ოპოზიციას, ნაცმოძრაობას ვგულისხმობ) არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ არჩევნებს მაინც წააგებდნენ.

28 ოქტომბერს მთელ ოპოზიციურ სპექტრს შეეძლო დაეყენებინა ერთი კანდიდატი, საცდელი არჩევნები მოეწყოთ და ხალხისთვის დაენახვებინათ, რომ მათ აქვთ ხალხის მხარდაჭერა. რატომღაც ეს არ გააკეთეს, შეშინდნენ, რადგან, მიუხედავად ოპოზიციის ერთიანობისა, შესაძლოა წაეგოთ.

***– ხომ შეიძლება, არჩევნები ხელისუფლებამ წააგოს?***

– დიახ. რატომ ვაცხადებთ, რომ არჩევნებს მაინცდამაინც ხელისუფლება მოიგებს? ამათი შემოთავაზებული მოდელით, თუ ხელისუფლება წააგებს, უმრავლესობაში აღმოჩნდება, მოგებული ოპოზიციური პარტიები კი ოპოზიციაში აღმოჩნდებიან. ასეთი გაუგებარი მოდელია. მისაღები შეთავაზება უნდა გააკეთო, მით უმეტეს, გერმანულ მოდელთან მცირედი მსგავსებაა. გერმანული მოდელის ძირითადი პრინციპი პარტიული სიებით გამარჯვებაა. იქ პარტია ითვლება მთავარ სუბიექტად და არა მაჟორიტარი. მაჟორიტარი შეიძლება იყოს პარტიული სიით, შეიძლება იყოს საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახელებული.

ამათი მოდელით, პარტიული სიები არის მეორეხარისხოვანი. მთავარი მაჟორიტარული ოლქების მოგებაა. რაც მეტ მაჟორიტარს გაიყვან, მით უფრო გიმცირდება პარტიული სიით აღებული პროცენტები. შეიძლება პარტიამ პარტიული სიით 30% აიღოს და პარტიული სიით ვერავინ გაიყვანოს, ეს ხომ აბსურდია. პარტიამ მოიგო, გავიდა პირველ ადგილზე და ორი დეპუტატი გაიყვანა. ეს ხომ აბსურდია.

***– თქვენ რომელ მოდელს დაუჭერდით მხარს?***

– ჩემი აზრით, სამართლიანი იქნება, თუ 100 დეპუტატს ავირჩევთ პროპორციული სიებით და 50-ს – მაჟორიტარულით. ასეთი მოდელის შემოღება იყო ჩაფიქრებული 2003 წელს, მაგრამ ნაციონალებმა გადაიფიქრეს და შემოგვიცურეს ის მოდელი, რომელიც არის დღეს, 50/50-ზე ანუ 77/73-ზე.

# ნიკა გვარამიას, კახა დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე დღეს წინასასამართლო სხდომა გაიმართება

„რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას, ასევე მასთან ერთად ბრალდებული ორი პირის, „რუსთავი 2“-ის ყოფილი ფინანსური დირექტორის კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა დღეს გაიმართება.

პროცესზე მტკიცებულებების დასაშვებობაზე უნდა იმსჯელონ.

გენერალურმა პროკურატურამ 6 სექტემბერს, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლუსის“ დირექტორს ზურაბ იაშვილს წაუყენა.

ნიკა გვარამიას ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ნიკა გვარამიას ასევე ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება შეეზღუდა.

კახა დამენიას ბრალად სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა ედება, რაც ჩადენილ იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. მას ასევე აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, მას ბრალად ედება კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება. იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

# „სახე სისხლიანი ჰქონდა, პულსი არ ესინჯებოდა“

## აჩიკო ჯანგუაშვილს სიმამრის, ფირუზ გოგნიაშვილის, მკვლელობისთვის ეძებენ

მკვლელობა მოხდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში.

პოლიცია 50 წლის აჩიკო ჯანგუაშვილს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებს. გამოძიების ინფორმაციით, ჯანგუაშვილმა სიმამრი, 61 წლის ფირუზ გოგნიაშვილი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა.

მოკლული შვილმა იპოვა.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ჯანგუაშვილი ცოლზე სისტემატურად ძალადობდა და მკვლელობაც სწორედ ამ კონფლიქტს უკავშირდება.

გოგნიაშვილს ჭრილობები მარჯვენა სახის არეში და საძილე არტერიაში აღენიშნება.

– სახლში რომ დავბრუნდი, მამაჩემი გარდაცვლილი დამხვდა. სახე სისხლიანი ჰქონდა, პულსი არ ესინჯებოდა. სამი წელია, ჩემი დის ოჯახთან ურთიერთობა არ გვაქვს, – განაცხადა მოკლულის შვილმა.

ადგილობრივების თქმით, აჩიკო ჯანგუაშვილი ოჯახის სხვა წევრებსაც ემუქრება მკვლელობით. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

# ადვოკატი თოდუა: „მე ვიცი, რამ გააღვივა კონფლიქტი ხორავას ქუჩაზე“

– უამრავი მტკიცებულება გამაჩნია ვთქვა, თუ რამ გამოიწვია ხელახალი კონფლიქტი, რამ გააღვივა ხორავას ქუჩაზე სიტუაცია, მაშინ როცა ხელის ჩამორთმევით მთავრდებოდა ყველაფერი.

ამის შესახებ გუშინ, 3 დეკემბერს, დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ განაცხადა.

მისი თქმით, მოწმეებმა მხოლოდ ის ინფორმაცია დაადასტურეს, რომელსაც მიხეილ კალანდიაც არ უარყოფს.

– დღეს დაკითხული მოწმეების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ერთადერთი გარემოება დასტურდება, რომ ხორავას №4-ში ნამდვილად იმყოფებოდა მიხეილ კალანდია. სხვა გარემოება, თუ რას აკეთებდა, ან ხელში ეჭირა თუ არა დანა ან რამე იარაღი, ჩხუბში მონაწილეობდა თუ არა, ამ მოწმეების მიერ ვერ იქნა დანახული.

ამ მოწმეებს მსგავსი არაფერი გაუცხადებიათ. ერთადერთი რაც დაადასტურეს იყო ის, რომ მიხეილ კალანდია ნამდვილად იმყოფებოდა ხორავას №4-ში, ფარდულთან.

ეს სიახლე არ ყოფილა და არც კალანდია უარყოფს ამ ფაქტს. ერთადერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც დაადასტურეს, იყოს ის, რომ კონფლიქტი, ანუ ბულინგი, რომელიც დაიწყო საპირფარეშოში, მოგვარდა და შერიგებით დამთავრდა. ამას ორივე მოწმე ადასტურებს. რა მოხდა შემდეგ ხორავას ქუჩაზე, ეს ის დეტალებია, რომელთა შესახებაც ამ ბავშვებს არ სურთ საუბარი, ან არ დაუნახავთ.

მე გამაჩნია უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ ვთქვა, თუ რამ გამოიწვია ხელახალი კონფლიქტი, რამ გააღვივა სიტუაცია, მაშინ როცა ხელის ჩამორთმევით მთავრდებოდა ყველაფერი. ამის შესახებ მე ჩემს დასკვნით სიტყვაში ვისაუბრებ.

დაკითხულმა ორმა მოწმემ დაადასტურა ერთი ფაქტი, რომ დათუნა სარალიძემ სიგარეტის ნამწვავი სახეში ესროლა მსჯავრდებულ გიორგი ჯანაშიას, – განაცხადა თოდუამ.

პროცესის შემდეგ კომენტარი პროკურორმა ბესიკ ქვარცხავამაც გააკეთა.

– დღეს დაკითხულმა მოწმეებმა დაასახელეს ყველა ის პირი, რომელიც უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილას, ხორავას ქუჩაზე დაინახეს, მათ შორის ბრალდებული კალანდია, – თქვა მან.

ქვარცხავას განმარტებით, დაკითხული მოწმეები 51-ე სკოლის ყოფილი მოსწავლეები არიან, რომლებმაც ხორავას ქუჩაზე მომხდარი კონფლიქტის დეტალები იციან.

– მოწმეები გახლდნენ ის პირები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე კონფლიქტის მომენტში იმყოფებოდნენ. შესაბამისად, მათ ისაუბრეს იმ ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ, რაც მათ უშუალოდ დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას.

კონფლიქტის დაწყებიდან მის დასრულებამდე, როგორც თავად მოწმეები განმარტავენ, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ხორავას ქუჩა №4-ის ეზოში. მათ ისაუბრეს იმ გარემოებებზე, როგორ დაიწყო კონფლიქტი, როგორ განვითარდა და საბოლოოდ რა შედეგამდე მივიდნენ.

ეს მოწმეები იმ დროისთვის 51-ე სკოლაში სწავლობდნენ და გარკვეული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ კონფლიქტის სხვა მონაწილე ბავშვებთან.

მათ დაასახელეს ყველა ის პირი, რომელიც უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილას დაინახეს, მათ შორის ბრალდებული კალანდია.

მათ ასევე ისაუბრეს ბრალდებულის როლზე, ასევე გარდაცვლილი დავით სარალიძის როლზე კონფლიქტის მიმდინარეობისას, თუ როგორ განვითარდა კონფლიქტი, რას აკეთებდა ბრალდებული, რას აკეთებდა დავით სარალიძე და იქ მყოფი სხვა პირები და მოწმეები, – განაცხადა ქვარცხავამ.

შემდეგი სასამართლო პროცესი 4 დეკემბერს, 13:30 საათზე გაიმართება.

# არბი ქავთარაშვილსა და რუსლან ხანგოშვილს პატიმრობა შეეფარდათ

პანკისის ხეობაში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებულ არბი ქავთარაშვილსა და რუსლან ხანგოშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თელავის რაიონულ სასამართლოს მოსამართლე მამუკა წიკლაურმა სრულად გაითვალისწინა სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნა და ორივე დაკავებული პატიმრობაში დატოვა.

ადვოკატი არბი ქავთარაშვილისა და რამაზ ხანგოშვილის მიმალვის და მტკიცებულებების განადგურების ნაწილში პროკურორს არ დაეთანხმა.

პროცესს ორივე ბრალდებული ესწრებოდა, სადაც დაკავებულმა არბი ქავთარაშვილმა განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებას ეთანხმება და თავს დამნაშავედ ცნობს.

– ჩემ მიმართ წარდგენილ ბრალდებას სრულად ვეთანხმები და თავს დამნაშავედ ვცნობ, – აღნიშნა ქავთარაშვილმა.

მომდევნო სასამართლო სხდომა 22 იანვარს, 13:00 საათზე დაინიშნა.

პანკისის ხეობაში დაპირისპირება 27 ნოემბერს მოხდა. ორმხრივი სროლის შედეგად 37 წლის ვისო მუთოშვილი გარდაიცვალა, ორი მამაკაცი კი მძიმედ დაიჭრა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლების კვალიფიკაციით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# ტრამპი: „კიმ ჩენ ინს „კაცი რაკეტა“ შევარქვი“

– როგორც ჩანს, კიმ ჩენ ინს რაკეტების გაშვება მოსწონს, არა? სწორედ ამიტომ მე მას „კაცი რაკეტა“ შევარქვი.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ლონდონში ვიზიტისას განაცხადა.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, მას იმედი აქვს, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი დენუკლეარიზაციას განახორციელებს, თუმცა ტრამპმა ისიც დასძინა, რომ ამას მომავალი აჩვენებს.

– იმედი მაქვს, კიმი დენუკლეარიზაციას განახორციელებს, თუმცა ვნახოთ, – განაცხადა ტრამპმა.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება აცხადებს, რომ შეერთებული შტატებისთვის მიცემული ვადა, რომ შეცვალოს „მტრული პოლიტიკა“, იწურება და ახლა ვაშინგტონმა უნდა გადაწყვიტოს, რა „საშობაო საჩუქარი“ უნდა.

ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამერიკასთან ურთიერთობის საკითხებში, რი თაე სონგი აცხადებს, რომ ვაშინგტონის მიერ დიალოგისკენ მოწოდება „სხვა არაფერია თუ არა სულელური ოინი, რომ გამოიყენოს ეს სიტუაცია ამერიკის არჩევნებისთვის“.

# ზელენსკი: „დონბასში ომს არ დავიწყებ!“

9 დეკემბერს პარიზში ნორმანდიული ოთხეული შეიკრიბება. პარალელურად პუტინ-ზელენსკის შეხვედრაც შედგება.

– პუტინი უკრაინის პრეზიდენტს აუცილებლად შეხვდება, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, პესკოვმა.

თავად ზელენსკიმ თქვა, რომ დონბასში ადგილობრივი არჩევნები მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, როცა რუსი ოკუპანტები რეგიონს დატოვებენ, რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე კი უკრაინელთა კონტროლი აღდგება.

ზელენსკიმ არ დამალა, რომ წარმატების იმედი არ აქვს:

– მიუხედავად ყველაფრისა, დონბასში ომს არ დავიწყებ! – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ამერიკელს თითქმის 30 წლის წინ დაკარგული ბეჭედი დაუბრუნეს

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდის მცხოვრებ მელის

დე ლა მარს მისი საქორწინო ბეჭედი დაუბრუნეს, რომელიც 1992 წელს დაკარგა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქორწილიდან რამდენიმე თვეში ქალი მეუღლესთან ერთად შტატის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტზე გაემგზავრა. სწორედ იქ დაკარგა მან საქორწინო ბეჭედი.

აღსანიშნავია, რომ ბეჭედი ადრე დე ლა მარის მეუღლის დედას ეკუთვნოდა და ამიტომ განსაკუთრებულად ფასობდა.

– ჩვენ დავკარგეთ ისეთი რამ, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ოჯახისთვის, თუმცა არამატერიალური თვალსაზრისით, – განაცხადა მამაკაცმა.

თითქმის 30 წლის შემდეგ სამკაული ალაბამას შტატის მკვიდრ, იუველირ ჰიზერ ლენგლისთან მოხვდა. ბეჭედი მასთან ერთ-ერთმა კლიენტმა მიიტანა, რომელმაც ის კურორტზე 1990-იან წლებში იპოვა. ლენგლმა ბეჭდის პატრონის პოვნა, მასზე გაკეთებული წარწერის დახმარებით მოახერხა.

ის პირადად გაემგზავრა პორტლენდში, რათა პირადად დაებრუნებინა ბეჭედი მისი ყოფილი მფლობელისთვის. როგორც დე ლა მარმა აღნიშნა, ბეჭედი ახლა მის თითზე გაცილებით უკეთ ზის, ხოლო ლენგლი მათი ოჯახის საუკეთესო მეგობარი გახდა.

# შიშველი მოდელის სიკვდილი მკვლელობად აღიარეს

მალაიზიის ხელისუფლებამ აღიარა, რომ 18 წლის ჰოლანდიელი მოდელი ივანა სმიტი უბედური შემთხვევის შედეგად კი არ დაღუპულა, როგორც ეს თავიდან იქნა გამოცხადებული, არამედ, ის მოკლულია.

ნოემბრის ბოლოს მოდელის დაღუპვის გარემოებების გადასინჯვა მოხდა და პოლიციამ საქმის გამოძიება განაახლა. კუალა-ლუმპურის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის ჰუზირ მუჰამედის თქმით, გამოძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საგანგებო სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

მოდელის გაშიშვლებული ცხედარი 2017 წლის 7 დეკემბერს დედაქალაქში იმ შენობის მახლობლად აღმოაჩინეს, სადაც ამერიკელი ბიტკოინმილიონერი ალექს ჯონსონი და მისი მეუღლე ლუნა ცხოვრობდნენ. სმიტი მე-20 სართულზე მდებარე მათი აივნიდან გადმოვარდა, 60 მეტრი იფრინა და მეექვსე სართულის სიმაღლეზე სახურავზე დაეცა. მის სისხლში ალკოჰოლისა და ნარკოტიკების კვალი აღმოაჩინეს.

6 დეკემბერს წყვილი სმიტს ღამის კლუბში შეხვდა და შემდეგ თავიანთ სახლში წაიყვანეს, სადაც ჯგუფური სექსით იყვნენ დაკავებულები. დაახლოებით დილის შვიდ საათზე მოდელმა თავის შეყვარებულს სელფი გაუგზავნა, რომელზეც ის ლუნა ჯონსონთან ერთად პოზირებს. ორ საათნახევრის შემდეგ კი გოგონა უკვე მკვდარი იყო.

პოლიციამ გოგონას ცხედრის აღმოჩენისთანავე ჯონსონების წყვილი დააპატიმრა. ისინი სხვადასხვა საკანში მოათავსეს. ორივე ამტკიცებდა, რომ იმ საღამოს არც თავად მოუხმარიათ ნარკოტიკები და არც სმიტისთვის მიუციათ. მათი მტკიცებით, მოდელი აივნიდან იმ დროს გადავარდა, როდესაც მათ ეძინათ.

იმის გამო, რომ დანაშაული ვერ დაუმტკიცდათ, წყვილი ორი კვირის შემდეგ ყოველგვარი ბრალდების გარეშე გაათავისუფლეს. ჯონსონები განთავისუფლების შემდეგ ჯერ სინგაპურში, შემდეგ კი აშშ-ში გაიქცნენ.

სმიტის სიკვდილი მაშინ უბედურ შემთხვევად აღიარეს. დაღუპული გოგონას ნათესავებმა ყოფილი ბრიტანელი პოლიციელი მარკ უილიამს-ტომასი დამოუკიდებელი გამოძიების ჩასატარებლად დაიქირავეს. მალევე მან განაცხადა, რომ გოგონა მოკლულია. ნიდერლანდებში ჩატარებულმა განმეორებითმა გაკვეთამ აჩვენა, რომ მის ხელებსა და თავზე დაზიანებები აივნიდან გადავარდნამდე იყო მიყენებული.

# წყვილმა მოპარული ფულით ნიშნობის ბეჭედი შეიძინა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში მცხოვრებმა შეყვარებულმა წყვილმა მაღაზია გაძარცვა და მოპარული ფულით ნიშნობის ბეჭედი იყიდა.

რამდენიმე დღის წინ, გვიან საღამოს 40 წლის სახეზე ნიღაბაფარებული კლერენს მური მინიმარკეტში შეიჭრა, რომელშიც გამყიდველად მისი შეყვარებული 24 წლის კელი კარსველი მუშაობდა. მამაკაცი დახლთან მივიდა და დანის მუქარით ფული მოითხოვა.

– გთხოვთ, არ გინდათ, ბავშვები მყავს! – ქვითინებდა კარსველი, რომელიც ისე იქცეოდა, თითქოს არ იცოდა თუ ვინ იდგა მის წინ.

მან „მძარცველს“ 2,96 ათასი დოლარი მისცა, რის შემდეგაც მური შემთხვევის ადგილიდან გაუჩინარდა. გამყიდველმა კი პოლიციაში დარეკა და ძარცვის შესახებ განაცხადა.

გარკვეული დროის შემდეგ კარსველმა ფეისბუქში გამოაქვეყნა შეტყობინება, რომელშიც მადლობა გადაუხადა მეგობრებს, რომლებიც მისი გაძარცვის გამო წუხდნენ და დაწერა, რომ მძარცველს ფული იმიტომ მისცა, რომ არ მოეკლა.

– ჩემმა უფროსმა მითხრა, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთე. მე წესრიგში ვარ, თუმცა ამავე დროს გაოგნებული, – დაწერა კარსველმა.

მეორე დილით კი გოგონა მურთან ერთად საიუველირო მაღაზიაში წავიდა და იქ მათ ბეჭდები შეიძინეს. შეყვარებულებმა ნიშნობა ვიდეოზე პირდაპირ სავაჭრო ცენტრში გადაიღეს.

პოლიციამ დაადგინა, რომ წყვილმა მაღაზიის გაძარცვა გაითამაშა. მათ მამაკაცის ავტომობილი გაჩხრიკეს და ფულთან ერთად აღმოაჩინეს სია, რომელშიც ძარცვისთვის საჭირო ნივთების სია იყო ჩამოწერილი. მათ ასევე იპოვეს იარაღი და ტანსაცმელი, რომელიც მურმა ძარცვისთვის გამოიყენა.

მათთვის ნაპოვნი ქვითრებიდან კი დადგინდა, რომ წყვილმა მოპარული ფული ბეჭდების შესაძენად გამოიყენა. კარსველს შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობის, პოლიციის ცრუ გამოძახებისა და ცრუ მოწმეობის ბრალდება წაუყენეს. მის შეყვარებულს კი, რომელიც ადრე სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის იყო პასუხისგებაში მიცემული, შეიარაღებული ძარცვის ბრალდება წაუყენეს. ორივე სასამართლომდე 50 ათასი დოლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# მესიმ „ოქროს ბურთი“ მეექვსედ ჩაიბარა

პარიზში „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ჩატარებულ ცერემონიაზე „ოქროს ბურთი“ „ბარსელონას“ თავდამსხმელ ლეო მესის გადაეცა.

არგენტინელი მეექვსედ გახდა ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო პრიზის მფლობელი – ეს რეკორდია.

ლიონელი წლის საუკეთესო ფეხბურთელად ფიფამაც აღიარა. მან წელს ყველა ტურნირზე 54 მატჩში 46 გოლი და 17 საგოლე გადაცემა მიითვალა.

მეორე ადგილზე „ლივერპულის“ მცველი ვირჯილ ვან დეიკი გავიდა, ხოლო მესამეზე – „იუვენტუსის“ ფორვარდი რონალდო.

პირველ ათეულში აგრეთვე შევიდნენ: 4. სადიო მანე (ლივერპული), 5. მოჰამედ სალაჰი (ლივერპული), 6. კილიან მბაპე (პსჟ), 7. ალისონი (ლივერპული), 8. რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი), 9. ბერნარდო სილვა (მანჩესტერ სიტი), 10. რიად მარეზი (მანჩესტერ სიტი).

აღსანიშნავია, რომ ეს პრიზი ზედიზედ მეთერთმეტედ ლა ლიგას ფეხბურთელმა მოიგო: 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში მესიმ, 2013 და 2014 წლებში რონალდომ, 2015 წელს მესიმ, 2016 და 2017 წლებში რონალდომ და 2018 წელს ლუკა მოდრიჩმა.

ვან დეიკი პრემიერლიგის პირველი წარმომადგენელია, რომელიც 2008 წლის შემდეგ ორ საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდა.

**ლეო მესი:**

– მახსოვს, პირველი „ოქროს ბურთის“ მისაღებად პარიზში 3 ძმასთან ერთად რომ ჩამოვედი. 22 წლის ვიყავი, ემოციური საღამო იყო, ისევე, როგორც ახლა. ამ 10 წლის განმავლობაში ჩემს ცხოვრებაში იმდენი განსაკუთრებული რამ მოხდა. აი, ახლა, მე აქ ვარ, მეუღლესთან, 3 შვილთან, ძმასთან და ძმის შვილთან ერთად. ჩემმა მეუღლემ თქვა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ოცნებას არ ვიშლიდი, ვიზრდებოდი, დღიდან დღემდე სრულყოფილებისაკენ ვილტვოდი და ფეხბურთით სიამოვნებას ვიღებდი.

მადლობა ღმერთს, ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც ასე მიყვარს და ღმერთს სურს, კიდევ რამდენიმე წელიწადი თამაშით დავტკბე. ვიცი, რამდენი წლის ვარ. ასეთი მომენტები განსაკუთრებულია, რადგან ფეხბურთიდან წასვლის დრო ახლოვდება, ეს კი მძიმეა. გავიმეორებ, თუმცა კიდევ რამდენიმე წელიწადი დამრჩა, მეჩვენება, რომ დრო გარბის და ყველაფერი ისე სწრაფად ხდება. იმედია, გავაგრძელებ ფეხბურთით, ოჯახით, მეტოქეებით და ჩემი ცხოვრებით სიამოვნების მიღებას.

მეორედ გათამაშდა „ოქროს ბურთი“ ქალთა შორის და ამჯერად, ჯილდო ვაშინგტონის რეინის ამერიკელ ნახევარმცველ მეგან რაპინოს გადაეცა. მან ინგლისის ნაკრების წევრ ლუსი ბრონზის (ლიონი) და თანამემამულე ალექს მორგანს (ორლანდო) აჯობა.

წელს პირველად იქნა დაწესებული ლევ იაშინის სახელობის ჯილდო, რომელიც შესაბამისად წლის საუკეთესო მეკარეს გადაეცა. ნომინაციაში გამარჯვებული ინგლისური ლივერპულელი ალისონ ბეკერი გახდა, სამეულში კი მარკ-ანდრე ტერ შტეგენი (ბარსელონა) და ედერსონ მორაესი (მანჩესტერ სიტი) მოხვდნენ.

2019 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ჯილდო 20 წლის ჰოლანდიელ მატეის დე ლიხტს გადაეცა, რომელმაც გასული სეზონი ამსტერდამის აიაქსში გაატარა, შემდეგ კი ტურინის იუვენტუსს მიაშურა. დე ლიხტს პრიზი, რომელიც ლეგენდარული რაიმონ კოპას სახელს ატარებს, პსჟ-ს ფრანგმა ფორვარდმა კილიან მბაპემ გადასცა, რომელმაც ეს ტიტული 2018 წელს დაიმსახურა. სამეული ინგლისელმა ჯეიდონ სანჩომ (დორტმუნდი) და პორტუგალიელმა ჟოაო ფელიქსმა (ატლეტიკო) შეავსეს.

„ფრანს ფუტბოლი“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს „ოქროს ბურთით“ 1956 წლიდან ყოველწლიურად აჯილდოებს. გამარჯვებულს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები ხმის მიცემით ავლენენ. 2010-იდან 2015 წლამდე „ფრანს ფუტბოლი“ და ფიფა გამარჯვებულს ერთად აჯილდოვებდნენ, თუმცა, 2016 წლიდან მხარეებმა თანამშრომლობა აღარ ისურვეს.

# უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკასთან ბრძოლაში დამარცხდნენ

**საქართველო-სამხრეთ აფრიკა 21:28**

**თბილისი. შევარდენი**

უმცროს ბორჯღალოსნებს სამხრეთაფრიკელ თანატოლებთან მატჩში ისტორიული, პირველი გამარჯვების მოპოვების კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ გამოცდილმა მეტოქემ ქართველთა მიერ დაშვებული შეცდომები მაქსიმალურად გამოიყენა და ერთი გარდასახული ლელოს ფარგლებში, 28:21 იმარჯვა.

ეს იყო მსოფლიო რაგბის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის პირველი მოსამზადებელი მატჩი და ორივე გუნდის მწვრთნელებს, შედეგზე მეტად თამაშის ხარისხი და კანდიდატების საქმეში ნახვა სურდათ.

თამაში სამხრეთ აფრიკის შეტევებით დაიწყო და ანგარიში მე-8 წუთზე გაიხსნა. წითელ ზოლში მორკინალებით რამდენიმე მიძალების შემდეგ, მათ ბურთი ხაზზე გაიტანეს და ვერნერ ჰოუვსმა ლელო გაიტანა, ხოლო ჯეიდენ ჰენდრიქსმა გარდასახა. ამის შემდეგ ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ. მათ მოახერხეს ბურთზე კონტროლის დამყარება, მეტოქის ნახევარზე დამკვიდრდნენ და მე-20 წუთზე ლაშა ლომიძემ კარის წინ 20 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა.

საქართველოს 2-ჯერ ჰქონდა ლელოს გატანის კარგი შანსი, ერთხელ ლელოს ხაზიც გადაიკვეთა, თუმცა ბურთის დამიწება ვერ მოხერხდა. მხოლოდ იმას გამოვრჩით, რომ ლომიძემ 32-ე წუთზე ახლოდან გატანილი ჯარიმით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. განახლდა თუ არა თამაში, დაცვაში დაშვებული შეცდომით სამხრეთ აფრიკამ ისარგებლა და კოენ იასპერმა მე-2 ლელო გაიტანა, ჰენდრიკსმა კი გარდასახვით ანგარიში 14:6 გახადა.

პირველი ტაიმის დასკვნითი 5 წუთი სრულად ქართველების იყო და ამჯერად შეტევაში ყველაფერი კარგად გამოვიდა. ფეხით გადაკიდებული ბურთი ჩვენებმა საკუთარი 22-ის სიღრმეში აიღეს და ხელდახელ შეუტიეს, თემურ კოხოძე მარცხენა ფრთაზე გაიქცა და დაახლოებით 25 მეტრი მოიგო, ლუკა ივანიშვილის ცენტრში დარტყმის შემდეგ მარცხენა ფრთაზე ხაზი სუფთად უკვე დემე თაფლაძემ გაჭრა, რომელსაც კარგად მიყვა საბა კურატაშვილი და ლელომდე დარჩენილი 22 მეტრი მაღალ სისწრაფეში დაფარა. მთლიანობაში, 80-90-მეტრიანი ხელდახელ შეტევა ლელოთი დასრულდა, გარდასახვა კი ძელმა აისხლიტა.

თამაში რომ განახლდა ცენტრში იოანე იაშაღაშვილმა დაარტყა, ლუკა მატკავამ შენიშნა, რომ მცველმაც ხაზი გატეხა და ჭრაზე ლომიძე შეიყვანა, რომელმაც შეტევა მარჯვენა ფრთაზე ზურაბ ქავთარაძეს გააგრძელებინა, ის ერთ მბოჭავს გასცდა, მეორე აიყვანა და ოფლოუდით ლელოში გიორგი მარგალიტაძე შეუშვა. ამჯერად ლომიძის გარდასახვა ზუსტი იყო და ტაიმი 18:14 მოვიგეთ.

მე-2 ტაიმის დასაწყისში ლომიძემ ჯარიმა გაიტანა და მასპინძლები 7 ქულის სხვაობით დააწინაურა, რასაც შეცვლები მოყვა და ინიციატივას სამხრეთ აფრიკა დაეუფლა.

გამუდმებით დაცვაში თამაში რთულია და 56-ე წუთზე წონასწორობა აღდგა. სტუმრებმა 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ მოლი დააყენეს და ჯეიჯეი კოცემ ლელო გაიტანა, ხოლო ჟოან მოსტერტმა გარდასახა. სამწუხაროდ, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანა ვერ მოახერხეს, საკუთარი ლელოს სიახლოვეს დაჯარიმდნენ, ბერნარდ ვან დერ ლინდემ ბურთი სწრაფად გაითამაშა და სანამ დაცვა მოეწყობოდა, ლელო გაიტანა, მოსტერტმა კი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 28:21.

## ᲛᲔᲓᲚᲔᲒᲔᲑᲘ

**2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ**

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘ�გᲐ**

ᲞᲠᲔᲡᲢᲝᲜ-ᲕᲔᲡᲢ ᲑᲠᲝᲛᲕᲘᲩᲘ ..... 0:1

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲔᲡᲚᲘ�გᲐ**

ᲛᲐᲘᲜᲪᲘ-ᲐᲘᲜᲢᲠᲐᲰᲢᲘ ..... 2:1

**ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 13 | 9 | 1 | 3 | 28-15 | 28 |
| 2.ლაიფციგი | 13 | 8 | 3 | 2 | 35-15 | 27 |
| 3.შალკე | 13 | 7 | 4 | 2 | 24-16 | 25 |
| 4.ბაიერნი | 13 | 7 | 3 | 3 | 34-18 | 24 |
| 5.დორტმუნდი | 13 | 6 | 5 | 2 | 28-19 | 23 |
| 6.ფრაიბურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 23-17 | 22 |
| 7.ლევერკუზენი | 13 | 6 | 4 | 3 | 20-17 | 22 |
| 8.ვოლფსბურგი | 13 | 5 | 5 | 3 | 15-13 | 20 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-20 | 21 |
| 10.აინტრახტი | 13 | 5 | 2 | 6 | 22-20 | 17 |
| 11.უნიონი | 13 | 5 | 1 | 7 | 16-19 | 16 |
| 12.მაინცი | 13 | 5 | 0 | 8 | 19-32 | 15 |
| 13.ვერდერი | 13 | 3 | 5 | 5 | 22-28 | 14 |
| 14.აუგსბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-25 | 14 |
| 15.ფორტუნა | 13 | 3 | 3 | 7 | 16-24 | 12 |
| 16.ჰერტა | 13 | 3 | 2 | 8 | 18-27 | 11 |
| 17.კიოლნი | 13 | 2 | 2 | 9 | 12-28 | 8 |
| 18.პადერბორნი | 13 | 1 | 2 | 10 | 16-32 | 5 |

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა**

ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ-ᲡᲐᲛᲓᲐᲠᲘᲐ ..... 4:3

**ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 14 | 12 | 1 | 1 | 31-13 | 37 |
| 2.იუვენტუსი | 14 | 11 | 3 | 0 | 25-12 | 36 |
| 3.ლაციო | 14 | 9 | 3 | 2 | 33-14 | 30 |
| 4.კალიარი | 14 | 8 | 4 | 2 | 29-17 | 28 |
| 5.რომა | 14 | 8 | 4 | 2 | 26-15 | 28 |
| 6.ატალანტა | 14 | 7 | 4 | 3 | 34-21 | 25 |
| 7.ნაპოლი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-18 | 20 |
| 8.პარმა | 14 | 5 | 3 | 6 | 20-18 | 18 |
| 9.ვერონა | 14 | 5 | 3 | 6 | 12-14 | 18 |
| 10.ტორინო | 14 | 5 | 2 | 7 | 16-20 | 17 |
| 11.მილანი | 14 | 5 | 2 | 7 | 13-17 | 17 |
| 12.ბოლონია | 14 | 4 | 4 | 6 | 20-23 | 16 |
| 13.ფიორენტინა | 14 | 4 | 4 | 6 | 18-21 | 16 |
| 14.სასუოლო | 13 | 4 | 2 | 7 | 24-25 | 14 |
| 15.ლეჩე | 14 | 3 | 5 | 6 | 18-27 | 14 |
| 16.უდინეზე | 14 | 4 | 2 | 8 | 9-23 | 14 |
| 17.სამპდორია | 14 | 3 | 3 | 8 | 12-24 | 12 |
| 18.ჯენოა | 14 | 2 | 4 | 8 | 15-28 | 10 |
| 19.სპალი | 14 | 2 | 3 | 9 | 9-21 | 9 |
| 20.ბრეშა | 13 | 2 | 1 | 10 | 10-26 | 7 |

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ**

ᲞᲘᲖᲐ-ᲞᲝᲠᲓᲔᲜᲝᲜᲔ ..... 2:0

**ᲡᲐᲤᲘᲰᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲛᲔ-2 ᲠᲘᲒᲐ**

ᲙᲐᲜᲘ-ᲜᲐᲜᲡᲘ ..... 1:0

**ᲰᲝᲰᲪᲒᲐᲪᲘᲐ. ᲰᲘᲛᲘᲔᲘᲰᲐ ᲠᲘᲒᲐ**

ᲑᲠᲐᲒᲐ-ᲠᲘᲣ ᲐᲕᲔ ..... 2:0

**ᲰᲣᲡᲔᲗᲘ. ᲰᲘᲔᲛᲘᲔᲘᲰᲘᲠᲘᲒᲐ**

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘ-ᲢᲐᲛᲑᲝᲕᲘ ..... 0:0

ᲪᲡᲙᲐ-ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ ..... 0:1

**ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲰᲘᲠᲘᲒᲐ**

ᲑᲔᲨᲘᲥᲗᲐᲨᲘ-ᲥᲐᲘᲡᲔᲠᲘ ..... 4:1

**ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲰᲘᲠᲘᲒᲐ**

ᲛᲘᲓᲢᲘᲣᲚᲐᲜᲓᲘ-ᲡᲘᲚᲙᲔᲑᲝᲠᲒᲘ ..... 2:1

*მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა*

# მამაკაცმა ნაძლევზე სანთებელა გადაყლაპა და კუჭის აფეთქებას გადაურჩა

ჩინეთის ქალაქ შენიანის მკვიდრმა სანაძლეოზე სანთებელა გადაყლაპა და სამედიცინო დახმარება მხოლოდ სამი დღის შემდეგ ითხოვა.

25 წლის მამაკაცმა, რომლის ვინაობა უცნობია, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, მეგობრებთან დადებულ სანაძლეოზე სანთებელა გადაყლაპა. მან დახმარებისთვის საავადმყოფოს მაშინვე არ მიმართა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ უცხო სხეული მისი ორგანიზმიდან ბუნებრივი საშუალებით გამოვიდოდა.

ორი დღის შემდეგ ის ისევ მეგობრებთან ერთად სვამდა. მეშვიდე თუ მერვე ბოთლი ლუდის შემდეგ პირღებინება დაეწყო, ასევე გამუდმებით სტკიოდა მუცელი.

მესამე დღეს დილით ის საავადმყოფოში მივიდა. როგორც კი მამაკაცმა პირი გააღო, ექიმმა ღიუ სიმ გაზის სუნი იგრძნო და განმარტა, რომ სამ დღეში კუჭის წვენმა სანთებელა დაადნო და ადვილად აალებადი სითხე გარეთ გამოდიოდა.

– პაციენტი ღია ცეცხლთან, რომ აღმოჩენილიყო, დიდი ალბათობით, აფეთქება მოხდებოდა და ის დაიღუპებოდა, – განაცხადა ექიმმა.

სამედიცინო გამოკვლევამ მამაკაცს კუჭში ორი წყლული გამოუვლინა, რომელთაგან ერთ-ერთზე, პაციენტს ექიმისთვის დროულად რომ არ მიემართა, შესაძლოა, სანთებელას შიგთავსი მოხვედრილიყო. უცხო სხეულის კუჭიდან ამოსაღებად სასწრაფო ოპერაციის გაკეთება გახდა საჭირო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ᲯᲘᲮᲝᲡᲒᲝᲰᲘᲚᲘ Ბ



**შვეულად**: 1. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 2. წყალში გახსნილი ამიაკის ხსნარი; 3. ცხარე ბოსტნეული; 4. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 5. ნავთობის საბადო კახეთში; 8. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 12. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 13. გამომწვარი ფერადი თიხა; 14. შეწეული სტრიქონი ტექსტში; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ფრანგი შანსონიე ქალი; 20. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი.

**თარაზულად**: 6. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 7. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 8. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 9. გიორგი ერისთავის პიესა; 10. იაპონელი კინორეჟისორი; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. ელდარ შენგელაიას კინოკომედია; 17. უდაბნო აფრიკაში; 19. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ფერადი მინის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი, ლითონი; 22. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 23. ჩინელი ფილოსოფოსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა**

**შვეულად:** 1. რეკორდი; 2. ფორბსი; 3. კონტრალტო; 4. ხარება; 5. ტაშკენტი; 7. გუნო; 11. მერდინი; 13. ჩერჩილი; 15. დასტა; 16. პერიე; 18. ნამყო; 19. ლავრა.

**თარაზულად:** 6. ელეგია; 8. სორბონა; 9. ჩარდაში; 10. რეფორმა; 12. რიეკა; 14. ქაჯანა; 17. ტარანტული; 20. უდინეზე; 21. სტრიტი; 22. ყაურმა; 23. ფელამუში.

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ**

**შვეულად:** 1. ლონდონი; 2. შორაპანი; 3. პიექსი; 4. პანჩი; 5. ნიველირი; 8. ბაზილიკა; 12. აკრი; 13. სათაფლია; 14. პიროგა; 16. კარიესი; 18. ბიგლი; 20. მოკო.

**თარაზულად:** 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. ბაკარა; 9. ლორია; 10. ფაგოციტი; 11. კლიასერი; 15. ტაქიკარდია; 17. მინდია; 19. გრამაფონი; 21. ალტინგი; 22. ბატალიონი; 23. ლოკჰიდი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9627

ევრო — 3.2800

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8441

100 რუსული რუბლი — 4.6163j;

## ამინდის პროგნოზი 4 დეკემბერი




## 3 დეკემბრიდან

### წიგნი I-II

## რჩეული საბავშვო მოთხრობები

**რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.**

**ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი**

## თემურ თათარაშვილი „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ წავიდა

მომღერალი თემურ თათარაშვილი „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ წავიდა.

იგი მახო გარსევანიშვილთან ერთად გავარდნის კანდიდატი აღმოჩნდა და ვიდრე ბოლო ერთი წუთის ათვლა დაიწყებოდა, მომღერალმა განაცხადა, რომ ის შოუდან მიდის და მახოს შემდგომ ტურებში წარმატებებს უსურვებს.

**თემურ თათარაშვილი:**

– დამთავრდა ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი საუკეთესო პერიოდი – „ცეკვავენ ვარსკვლავები“. იმედია, კიდევ არაერთი ასეთი წუთები მექნება. მადლობა ყველა მონაწილეს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს.

## რუსთაველის თეატრი ჩინეთის ოპერის დასს უმასპინძლებს

რუსთაველის თეატრი ჩინეთის ოპერის დასს უმასპინძლებს.

საქართველოში პირველად ჩამოვა 400 წლიანი ისტორიის მქონე ჰუიჯუს ოპერის დასი და რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე შექსპირის ცნობილი პიესის ინტერპრეტაციას გაითამაშებს.

ანჰოის პროვინციის ნაციონალური თეატრი 14 და 15 დეკემბერს წარმოადგენს ტრადიციულ ჩინურ ოპერას „მაკბეტი“, რომელიც ინოვაციური ქორეოგრაფიის, გამორჩეული ტექნიკის და საოპერო გამოხატულებების შერწყმაა.

ამ წარმოდგენამ გააცა პეკინი და მსოფლიოს ინოვაციური იდეებისა და შეუცვლელი უნიკალური ტრადიციის თანხვედრა უჩვენა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 4 დეკემბრისათვის

**ვერძი** – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **ჯარო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მამა კვდება და, ოჯახის ტრადიციის თანახმად, ყველაფერი თავის ყველაზე ზარმაც შვილს უნდა დაუტოვოს. ის მისუსტებული ხმით უფროს შვილს უხმობს:

– შვილო, თემო, მოდი ჩემთან.

უფროსი შვილი მივიდა.

– შვილო, წარმოიდგინე, რომ ზიხარ და ამ დროს ქარს 200-ლარიანი მოაქვს. როგორ მოიქცევი?

– ადგილიდან არ დავიძვრები. თავი ზედმეტად რატომ უნდა გადავიტვირთო?

– კარგი ნათქვამია, შვილო, შეგიძლია, წახვიდე.

ახლა შუათანას უხმობს თავისთან და ეუბნება:

– გივი, შვილო, მოდი ჩემთან, წარმოიდგინე, რომ ვნებიანი ულამაზესი გოგონა ხელებს იწვდის შენკენ, თავისთან გიხმობს. როგორ მოიქცევი?

– ადგილიდან არ დავიძვრები. თავი ზედმეტად რატომ უნდა გადავიტვირთო?

– ოქროს სიტყვებია, შვილო, შეგიძლია, წახვიდე.

მამა მესამე შვილს უხმობს თავისთან:

– გოგი, შვილო, მომიახლოვდი.

– შენ თვითონ მომიახლოვდი.

•••

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, სკოლაში ბევრი დავალება მოგცეს?

– არც ისე ბევრი, ასე, 150 ლარის.

•••

ექიმი მედდას ეუბნება:

– ჩაწერე: „თავის ქალის ტრავმა“.

– თუ თავის ქალა-ტვინის?

– სად აქვს ამას ტვინი. ამას შემოწმებაც კი არ სჭირდება.

– რატომ?

– აბა, ამას რომ ტვინი ჰქონოდა, ცოლის დაბადების დღეზე საყვარელთან ერთად მივიდოდა.



## კრიშტიანო რონალდუს დამ ვან დეიკს უპასუხა



ოქროს ბურთის დაჯილდოების ცერემონიალის დაწყებამდე ჟურნალისტებმა ვან დეიკს უთხრეს, რომ რონალდუ ცერემონიალს არ ესწრებოდა და მას ერთით ნაკლები კონკურენტი ეყოლებოდა. ამაზე ვირჯილმა ხუმრობით თქვა: „რონალდუ საერთოდ კონკურენტი იყო?“. ინტერვიუს განმავლობაში ვან დეიკმა განმარტა, რომ მან უბრალოდ იხუმრა, მაგრამ კრიშტიანო რონალდუს დას ეს ხუმრობა არ მოეწონა და ტვიტერზე დაწერა: „ძვირფასო ვირჯილ, რონალდუს ერთ სეზონში მეტი ტიტული აქვს მოგებული, ვიდრე შენ მთელ კარიერაში. გირჩევ, მეტი პატივისცემა გამოიჩინო“.

## ერიქსენი, შესაძლოა, იტალიაში გადავიდეს

ტოტენჰემისა და დანიის ნაკრების ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენი, შესაძლოა, ინტერში გადავიდეს.

თითქმის ბოლომდე ნათელია, რომ იანვარში ერიქსენი ტოტენჰემს დატოვებს, რადგან მან ახალ კონტრაქტზე უარი თქვა. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ერიქსენი რეალში გააგრძელებდა კარიერას, მაგრამ ბოლო პერიოდში მადრიდელები აღარ აქტიურობენ და ერიქსენს იტალიაში გადასვლის უფრო რეალური შანსი აქვს. ინტერის გარდა, მის მიმართ დაინტერესებას იუვენტუსიც იჩენს.

## იბრაჰიმოვიჩმა მილანთან კონტრაქტი შეათანხმა

იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მილანთან კონტრაქტი უკვე შეათანხმა და მალე მილანში ჩავა, სადაც უკვე ოფიციალურად ამ გუნდის ფეხბურთელი გახდება.

იბრაჰიმოვიჩი ამჟამად 38 წლის არის, მაგრამ კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს და მზად არის, ისევ ითამაშოს მაღალ დონეზე.

ზლატანის ბოლო გუნდი ლონ ანჯელეს გელექსი იყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ნიანგმა პლანტაციის თანამშრომელი შეჭამა და უკვალოდ გაუჩინარდა

მალაიზიის შტატის სარაუაკის ჩრდილოეთ ნაწილში ნიანგმა პლანტაციის თანამშრომელი მოკლა და შეჭამა.

აბდულ სიტუჯუ, რომელიც პლანტაციის დაჭაობებულ ნაწილში ბოსტნეულის შეგროვებით იყო დაკავებული, დაიკარგა. ნიანგის მიერ დაგლეჯილი ადამიანის სხეულის ნაწილები რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს. მტაცებელი რეპტილიის მოსაძებნად ადგილობრივი სატყეო მეურნეობის სამსახურის თანამშრომლები გაიგზავნა.

– ჩვენი გუნდი ნიანგზე ნადირობს. ჩვენ პლანტაციის რაიონში ყველა მდინარეს და დაჭაობებულ ტერიტორიას გულდასმით ვათვალიერებთ, – განაცხადა ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ზოლკიპლი მოჰამად ატონმა. მისი თქმით, თითქოს ერთ-ერთმა მუშამ დიდი ნიანგი შენიშნა, რომელიც ჭაობში იმალებოდა და პოლიციას მიმართა. ხელისუფლება ვარაუდობს, ნაპოვნი ადამიანის სხეულის ნაწილები აბდულ სიტუჯუს ეკუთვნის. მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბელა ჰადიდმა სათვალეების რეკლამისთვის გაიხადა

ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა სათვალეების რეკლამის გადაღებაში მიიღო მონაწილეობა, რომლის დროსაც საკუთარი მშვენიერი სხეული წარმოაჩინა. ამის ამსახველი ვიდეო გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ვიდეორგოლში 23 წლის სუპერმოდელი ფართოდ გადახსნილ ტყავის ბლეიზერში პოზირებს, რომლის ქვეშაც ლურჯი ფერის ბიუსჰალტერი და შიშველი მუცელი უჩანს. მას ასევე ეცვა უჯრედებიანი, სხეულზე შემოტმასნილი შარვალი, ეკეთა მსხვილი ოქროს სამკაულები და აქსესუარი, რომელსაც რეკლამას უკეთებდა, Chrome hearts-ის ბრენდის სათვალე. ვიდეო რიტმულად ცვალებადი კადრებისგან შედგება, რომლებზეც ჰადიდი პოზებს, რაკურსს იცვლის, თმებს ისწორებს, სათვალეს იხსნის.

ვიდეორგოლის დასასრულს კი გოგონა კადრში ნახევრად შიშველი ჩნდება, რა დროსაც მკერდზე ხელები აქვს აფარებული. ამ დროს მას გრძელი ტყავის ხელთათმანები აცვია, ასევე მას ამშვენებს ბრილიანტის ბეჭედი, სამაჯური და ფართო ყვითელი ფერის ქამარი.

## ჯოსვოიდი ა



**შვეულად**: 1. სამკერვალო დაწესებულება; 2. ფრანგული პური; 3. პატარა, ვიწრო ქუჩების სახელწოდება ძველ თბილისში; 4. ძველებური ცხენოსნური შეჯიბრება საქართველოში; 5. მონაკოს მთავართა საგვარეულო დინასტია; 7. ფულის ერთეული იაპონიაში; 11. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 13. მხარე გერმანიაში; 15. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 18. წამლის დამზადების ერთ-ერთი ფორმა; 19. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

**თარაზულად**: 6. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 8. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 10. შტატი აშშ-ში; 12. მუსლიმანთა მთვარის კალენდარი; 14. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 17. დაბანდებული კაპიტალის მოგებიდან მიღებული თანხა; 20. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 21. მდინარე ზუგდიდში; 22. საქსოვი მანქანის გამომგონებელი ფრანგი მექანიკოსი; 23. მჭევრმეტყველების, ორატორული ხელოვნების თეორია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*